# №5

# ბურჯი ეროვნებისა

975
2000



# „დედაენასა" და „ბუნების კარზე"

„დედაენა" და „ბუნების კარი" სახელმძღვანელო-ები კი არის, უდიდესი პოემებია. მე თანახმა ვიქნები გამოვიდეს ახლა ეს წიგნები, არა როგორც სახელმძღვანელო, არამედ საკითხავ წიგნად.

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ქირია

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქტორები:
ცირანი (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლელა გეგუჩაძე,
ქეთევან ლათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
ინგა ღუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ნინო კვანტალიანი

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

ინდექსი 76016

975
2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

**პრობლემა**

გ. წიბახაშვილი, ობოლი ერი, ანუ გვჭირდება თუ არა მამის სახელი ..... 2

**ქართული ენის მოქირნახულე**

გ. თოფურია, ვ. იმნაიშვილი, კარლ ჰორსტ შმიდტი ........ 4

**დედაენა**

ნ. ჯორბენაძე, სწორია... ........ 7

**ლიტერატურული ცხოვრება**

თ. შარაბიძე, ავანგარდისტული ტრადიციები
60-90-იანი წლების პოეზიაში ........ 8

**გ. ლეონიძე — 100**

ე. კოშორიძე, ენა მდიდარი და მშობლიური ........ 11

**აბიტურიენტის ფურცელი**

გ. რობაქიძე, გ. ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას" ........ 13

**აკაკის საიუბილეოდ**

ა. ფალავა, შთაბეჭდილებანი ........ 16

**ჩვენი ენა ქართული**

ა. ჭინჭარაული, ქართული ენის სიწმინდეს არას დაგიდევენ ........ 18
ლ. მრელაშვილი, თავისუფლება პირობითი ცნებაა ........ 19
ო. იოსელიანი, კატასტროფის წინაშე ........ 19

**სიტყვა ქართული**

თედო რაზიკაშვილის ლექსიკონი მარგინალიებით ........ 20

**ჩვენი სკოლა**

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ფოცია კალანდაძე ........ 22
ლ. ჭანკვეტაძე, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას –
გამორჩეული ყურადღება ........ 24

**ენა მთისა და ბარისა**

თრიალეთს ქალი დავმარხე ........ 22

**ბაბილონის გოდოლი**

თ. გოგოლაშვილი, სტვენითი მეტყველება,
როგორც საკომუნიკაციო საშუალება ........ 23

**ინფორმაცია** ........ 23

**მოვუსმინოთ პატარებს** ........ 24

გარეკანზე: „დედაენა" და „გზა ტაძრისაკენ". პლაკატების ავტორი ირაკლი ავალიანი.

21.684

ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№5 (29)

2000




გამოდის
თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენიმე წელიწადია ქართულში მიმდინარეობს ახალი პროცესი. მიმდინარეობს უხმაუროდ, მაგრამ, ინიციატორთა გულის გასახარად, ინტენსიურად, ნაყოფიერად.

ლაპარაკია პიროვნების სახელდების (ნომინაციის) ფორმულიდან მამის სახელის განდევნაზე და ამით სამწევრა ფორმულის ორწევრად გადაქცევაზე.

არგუმენტები: მამის სახელის საწინააღმდეგოდ - იგი, მამის სახელი, ქართული სახელდებისთვის უცხოა, გარედან არის მოტანილი და თავსმოხვეული.

განდევნის სასარგებლოდ - მამის სახელი არ არის ევროპულ ენებში, მაშასადამე, ჩვენც არ გვჭირდება.

არადა, ასე რომ არ არის.

პიროვნების სახელდებაში მამის სახელი ქართულში გაჩნდა უცხო ენის გავლენით, საკმაოდ ახალი მოვლენაა და ამიტომ მასზე უარის თქმა საჭიროა.

ამ დებულებას რომ ასაბუთებენ, მიუთითებენ რუსულ ენაზე, საიდანაც, თითქოს, მოვიდა ეს ფაქტი.

ნავიხელოთ „ქართლის ცხოვრებაში" (სადაც რუსული ენის გავლენა ალბათ გამორიცხულია): ივანე ათაბაგის ძე, ლიპარიტ სუმბატის ძე, ბარამ ვარდანის ძე, დავით ლაშას ძე, ბექას ასული ნათელა, შანშეს ძე ზაქარია, და სხვა მრავალი. რა არის ეს, თუ არა პიროვნების ნომინაცია სახელითა და მამის სახელით? ეს იყო ტრადიციაც და წესიც, რაც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და იხვეწებოდა.

მაშ, ვის და რატომ სჭირდება სინამდვილის გაყალბება?

პიროვნების ნომინაციაში მამის სახელის გამოყენება არც ქართული მოვლენაა და არც რუსული, და არც ახალია. ეს ფაქტი ცნობილია უძველესი დროიდან როგორც აღმოსავლეთის ხალხებში, ისე დასავლეთის კულტურის არეალში მყოფ ხალხთა შორის, როგორც ნანს, პიროვნების, ინდივიდის ნომინაციის უძველესი ფორმაა სახელი. მერე, მოგვიანებით, როდესაც ადამიანთა შორის ურთიერთობების მასშტაბები გაფართოვდა, ერთი სიტყვით პიროვნების მარკირება უკვე არასაკმარისი აღმოჩნდა და დაიწყეს რაღაც ახალი ნიშნის ძებნა. ეს უნდა ყოფილიყო მეორე, ე.წ. ზედმეტი, შერქმეული სახელი, რაც ნომინაციას აადვილებდა. ეს დღესაც ასეა, ფანგ, ჯორჯ, გორდონ, მარია ანტუანეტა და სხვა). ზოგან სისხლით მონათესავე ადამიანთა ჯგუფური სახელი განაზოგადეს და მას გვარი უწოდეს, ხოლო ამ გვარის კუთვნილების, წევრობის აღსანიშნავად სიტყვას რაღაც მაწარმოებელი სუფიქსი ან მისი ფუნქციის ნაწილაკი დაერთო (- შვილი, ძე- ური და სხვ.). ეს ფორმა, ეს ხერხი აირჩია ქართულმაც. ასე ჩამოყალიბდა ქართული სახელდება, ნომინაცია: სახელი, მამის სახელი, გვარი.



ეს დასტურდება ისტორიული დოკუმენტებით და ვილაცაზე რაღაცის გადაბრალებას საფუძველი არ უჩანს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული იურიდიული ძეგლების ჩვენებები. იმ საბუთების შემდგენლებს, ეტყობა, მშვენივრად ესმოდათ პიროვნების სახელდების მნიშვნელობა და სრულიად გარკვევით, ცხადად ასახელებენ ადამიანს გვარით, სახელითა და მამის სახელით ანუ სამწევრა ნომინაციის ფორმით, და ეს საბუთები იმ საუკუნეებისაა, როდესაც ქართული ენის კონტაქტები რუსულთან სრულიად გამორიცხულია.

დასკვნა: პიროვნების სამწევრა ნომინაცია ქართულში არის საკუთრივ ქართული ენობრივ-იურიდიული ფორმულა და ვინც ამ ფორმულას ებრძვის, ის ქართულ ენასა და მის ტრადიციებს ებრძვის (ლაპარაკია ნომინაციის ფორმულიდან ამოგდებაზე), ოღონდაც თავისი განწყობილების ნამდვილ მიზეზებს ნიღბავს და ჩანაფიქრისათვის მიმხრეების ძებნაში „რუსულ კარტს" ათამაშებს.

თუნდაც ქართულ სოფელში, ოღონდაც ზედმეტი, შერქმეული სახელი ხშირად არასასურველი შინაარსის მატარებელია და ამდენად, იგი პიროვნების სახელდების ელემენტად ოფიციალურად მიუღებელია. ამის გამო უპირატესობა მიეცა სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვას ან მამის სახელს. ასეთი ორწევრა ფორმულა ზოგან დარჩა სახელად და მამის სახელად (მაგ., ისლამურ ქვეყნებში). ზოგან კი მამის სახელი გარდაიქმნა გვარად თაობიდან თაობაზე გადასვლის, გადაცემის აუცილებელი პირობით.

დრო გადიოდა, ცხოვრების ტემპები, მასშტაბები, არეალები იცვლებოდა და მალე ორწევრა ფორმულაც უკვე არასაკმარისი აღმოჩნდა პიროვნების სახელდებისათვის - საჭირო და აუცილებელი გახდა რაღაც მესამე კომპონენტის, მესამე წევრის შემოტანა. ზოგან სახელის გაორმაგებასა და გასამმაგებას მისცეს უპირატესობა (ჟან პოლ, ხუან ანტონიო, იოჰან ვოლ-

ხულ სხვა საქმეა მამის სახელის ხმარება პიროვნებისადმი მიმართვის დროს. ეს მართლაც რუსული სამეტყველო ეთიკეტის პირდაპირი გავლენაა და ქართულისათვის სრულიად უცხო რამ არის. მაგრამ რა გინდა, ბიუროკრატიული აპარატის წაბაძვით ეს ჩვევა

გავრცელდა ზემოდან ქვევით და შეუღებავ მოვილეთ ჯონდოვინი, გოგოვინი, ხვთისოვნა, ჟორაევნა. გავრცელებულია აზრი, თითქოს ეს პიროვნებისადმი პატივისცემის გამოხატვა იყოს. რუსულში ეს ასეა იმიტომ, რომ ეს მოვლენა რუსულია და თავის ადგილას ასეთი მიმართვა მართლაც დახვეწილი და კულტურულია. ქართულში კი იგი ყურით მოთრეულია და ინ-ისადმი მონური მლიქვნელობის ფსიქოლოგიას უფრო გამოხატავს, ვიდრე ჭეშმარიტ, გულწრფელ პატივისცემას. ამიტომ ის მართლა უნდა განიდევნოს ქართული სამეტყველო ეთიკეტიდან. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ჩინოსნებისა და ჩინის მაძიებელთა შორის ბიუროკრატიული ურთიერთობის ფსიქოლოგიამ ინ-ისა და -ოვნა-ს ნაცვლად დაამკვიდროს რომელიმე მისტერ, სერ, მის, მისის და სხვა რამ ამგვარი. რა, მაგალითები არა გვაქვს თუ?

სადაც საჯაროდ, საქვეყნოდ ილიასა და აკაკის დაწიხვლა მოხერხდა, იქ ყველაფერია მოსალოდნელი, მაგალითად, მათი ძეგლის აღების მოთხოვნაც. ამას მხოლოდ ცოტა დრო და ბევრი „დემოკრატია" სჭირდება.

საერთოდ ბიუროკრატიულ აპარატს მიმიკრიის კოლოსალური ნიჭი და უნარი აქვს- მთავარია შეეწყოს ძლიერთა ამა ქვეყნისათა. მაგრამ რა მოუხერხოთ ამ ინ-ებსა და ოვნ-ებს მოსახლეობის დაბალ ფენებში, სადაც ხვართქლასავით არის „პატივისცემის" ეს „წესი" მოდებული და დაცხრომის არავითარ ნიშნებს ჯერ არ ამჟღავნებს. თუ იქაც ხელმა ცვლის შენაცვლება უარესით.

მაშ ასე. ჩვენს მსჯელობაში გამოიკვეთა სამი ასპექტი:

1. პიროვნების ნომინაციაში მამის სახელის მონაწილეობა ქართულისათვის ტრადიციაა თუ გარედან მოხვეული რამ? თითქოს საკმაოდ დამაჯერებელი ფაქტებით დავასაბუთეთ, რომ ეს მოვლენა ქართულში დამკვიდრდა საუკუნეების წინ და რუსულთან კავშირი არა აქვს.

2. ნომინაციის ტრადიციებიდან გადმოსვლით პიროვნებისადმი მიმართვის ფორმულაში - ინ-ისა და -ოვნა-ს გამოყენება. ანუ ქართულ საუბარში „ბარდღლოვინიობითა" და „გლახუნოვნობით" თავის მოწონება მხოლოდ ენობრივი სიყალბის მაჩვენებელია და მეტი არაფერი. ამას კი გამართლება ერთი აქვს - ყველამ არ იცის, რომ იგი ველურია.

3. სჭირდება კი ქართულ ნომინაციას მამის სახელი როგორც პიროვნების სახელდების ფუნქციურად სასარგებლო ელემენტი?

თუ დღეს ტრადიციას რაიმე მნიშვნელობა აქვს და მას ანგარიში უნდა გაეწიოს, მაშინ ტრადიცია მამის სახელის დასაცავად გამოდგება. მაგრამ არის ერთი სერიოზული შეფერხება - პრაგმატიკული აზროვნების მოძალება, რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავს ყველაფერს, რაც პრაქტიკულ, ხელშესახებ სარგებლიანობას არ გვაძლევს. ტრადიციისადმი ანგარიშის გაწევა კი სწორედ ასეთი „უსარგებლო" რამ არის.

უფრო მნიშვნელოვანია მოვლენის, ფაქტის მართლაც წმინდა პრაქტიკული, გამოყენებითი მხარე. საჭიროა თუ არა მამის სახელი პიროვნების ნომინაციაში? უდავოა, რომ მამის სახელის გამოყენება იძლევა დამატებით ინფორმაციას, რაც აადვილებს ადრესატის ამოცნობას. მოწინააღმდეგე ამტკიცებს, რომ ამოცნობა ორწევრა ნომინაციითაც ადვილია და საჭირო აღარ არის ზედმეტი დროის, ენერგიისა და ქაღალდის ხარჯვა. არგუმენტი გარეგნულად თითქოს დამაჯერებელია, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. ორწევრა ნომინაცია ინფორმაციულად იმდენად შეზღუდულია, რომ უსიამოვნო შეცდომები არანაკლებ უსიამოვნო ხერხებით - დამამცირებელი ნიშნების მითითებით გვარდება, ან იმდენი დამატებითი ინფორმაციის მოწოდება ხდება საჭირო, რომ გაცილებით მეტი დრო, ენერგია და ნერვები იხარჯება.

მამის სახელის ხმარება პიროვნების ნომინაციაში არც მხოლოდ ტრადიციაა და არც მხოლოდ ინფორმაცია. ეს არის მამისადმი პატივისცემის გამოხატვა, იმის ხაზგასმა, რომ პიროვნება მამის შვილია, მამის მემკვიდრეა, მამის მოდგმაა. ამ მოვლენაში გვარის, ჯიშის, სისხლის ერთიანობის, მთლიანობის გრძნობაა ჩადებული. თუ ჩვენთან ევროპელობა წინა პლანზე გადმოიწევს, ხოლო ქართული, მაგრამ „არასაჭირო" ატრიბუტები განიდევნება, ის დროც მალე დადგება, როდესაც ვიღაც შემოგვთავაზებს შეზღუდული გავრცელებულობის ქართული ანბანი შევცვალოთ ლათინურით, რომელიც ევროპაში იხმარება. აი, მაშინ აღარავინ დაეჭვდება, რომ ჩვენ თავით ფეხებამდე უკვე „გავევროპიელდით", მზეც დასავლეთიდან ამოგვდის, ჩვენთვის დედამიწას აქვს მხოლოდ ერთი მხარე - დასავლეთი. დღეს ქართული ენა ალყაშია. მაგრამ შეკრულ მტრულ ალყაში, და მეალყეებს მეგზურებად და მრჩევლებად ჩვენი „ახალი ევროპიელები" და ასევე შინნაზარდი მანქურთები ჰყავთ, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან „დალესის პროგრამას" და გასამრჯელოსაც კარგს ღებულობენ. ელვისებური სისწრაფით ნაგვიანდება ენის ლექსიკა, ინგრევა მისი სინტაქსი, იბღლწება მისი სტილი, იშლება მისი ინტონაცია და ყველაფერი ეს ლამაზდება თავისუფლებისა და დემოკრატიის ფერუმარილწასმული ნიღბით. ძველი ქურუმები ყველაზე სასტიკ ღმერთებს ცალკეულ ადამიანებს სწირავდნენ. ჩვენი ქურუმთა კასტა დოლარის ბომონში საქართველოსა და ქართულ ენას მიათრევს. თანაც წარმატებით, სარფიანად. ამ კასტამ დეტალურად დაამუშავა და ახალი ხერხებით გაამდიდრა გერმანელი ფაშისტების მიერ შექმნილი ausfolken-ის თეორია ანუ „განხალხება", ანუ ხალხის „არახალხად" გადაქცევა. როდესაც მთელი ხალხის მიმართ ნებისმიერი მოპყრობა შესაძლებელი და უპრობლემო იქნებოდა. დღეს ჩვენ ამ გაავებული პროცესის მოწმენი და მონაწილენი ვართ.

**P.S. ერთმა ქართველმა მწერალმა ქართველ ერს ობოლი ერი უწოდა. ობლობა მძიმე ხვედრია, რადგანაც იგი უპატრონობასა და მასთან დაკავშირებულ დუხჭირ ცხოვრებას ნიშნავს.**

**მართალი ყოფილა ის მწერალი.**

**გიორგი წიბახაშვილი**

გურამ თოფურია, ვახტანგ იმნაიშვილი

# კარლ ჰორსტ შმიდტი

გამოჩენილი გერმანელი ენათმეცნიერი კარლ ჰორსტ შმიდტი დაიბადა 1929 წლის 31 მაისს ქალაქ დესაუ-როსლაუში (გერმანია). სწავლობდა ბერლინის, კელნის, ბონის, ლუბლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. მისი მასწავლებლები იყვნენ რუდოლფ ჰერტცი, ფერდინანდ ზომერი, ლეო ვაისგერბერი; მისი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი კი გამოჩენილი ქართველოლოგი გერჰარდ დეეტერსი გახლდათ.

1954 წელს კ. შმიდტმა ბონში პირველი (ანუ ჩვენი საკანდიდატო) დისერტაცია დაიცვა - „კომპოზიცია გალურ პირთა სახელებში", ხოლო 6 წლის შემდეგ მას მოჰყვა მეორე, სადოქტორო დისერტაცია ძველ ქართველურ ენებში, რომელიც წარმატებით იქნა დაცული იმავე ბონის უნივერსიტეტში 1960 წელს. 1964 წლიდან კ. შმიდტი მიუნსტერის უნივერსიტეტის ექსტრაორდინარული პროფესორია, 1966 წლიდან კი - ორდინარული პროფესორი. ამავე წელს კ. შმიდტი გადადის ახლადგახსნილ ბოხუმის უნივერსიტეტში ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების პროფესორად. აქ იგი 1973/74 წლებში ფილოლოგიის განყოფილების დეკანია. 1974 წლიდან კ. შმიდტი ბონის უნივერსიტეტში სათავეში ჩაუდგა შედარებითი და ინდოგერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტს, რომლის დირექტორიც ის იყო პენსიაზე გასვლამდე.

კ. შმიდტს ჰყავს მეუღლე (დორის ბუხჰოლც-შმიდტი) და ქალ-ვაჟი (სუზანა და ულრიხი).

კ. შმიდტის მუშაობის ძირითადი სფეროებია - ინდოევროპული და ზოგადი ენათმეცნიერება, კელტოლოგია და კავკასიოლოგია. ენათმეცნიერების ყველა ამ დარგში მას ფრიად ფასეული და დიდად ღირებული შრომები აქვს გამოქვეყნებული, რომლებთაც მას დიდი სამეცნიერო ავტორიტეტი მოუპოვეს როგორც მკვლევარსა და მეცნიერს. ამ მოკლე წერილში ჩვენ მისი სამეცნიერო კვლევა-ძიების მხოლოდ ერთ მხარეს შევეხებით, ისიც ზოგადად - ესაა მისი ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური მოღვაწეობა.

კ. შმიდტი ქართველური ენების გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის საფუძვლიანად აღიარებული მკვლევარია. მეტად მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ქართველურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დიაქრონიული საკითხებისა და განსაკუთრებით სვანურის ისტორიისა და ადგილის შესახებ ამ ენათა სისტემაში. ამ პრობლემატიკის საკვანძო თუ ცალკეული, კერძო საკითხების შესახებ მას არაერთი სპეციალური წერილი აქვს დაბეჭდილი - გამორჩეული მეცნიერული ხედვითა და მკაცრი მეთოდოლოგიით. აქ მხოლოდ ორიოდე წერილზე მივუთითებთ: „პროტო-ქართველურის რეკონსტრუქციისათვის" (1978), „ზმნური კომპოზიცია ქართველურ ენებში" (1988), „სვანურის ადგილი ქართველურ ენობრივ ოჯახში" (1987, 1991) და სხვ. მრავალი.

განსაკუთრებული ღირებულებისაა მისი ფუნდამენტური გამოკვლევა, სადოქტორო დისერტაცია, - „ქართველური ფუძეენის ბგერითი სისტემის რეკონსტრუქციისათვის" (ვისბადენი, 1962; ნაშრომის თეორიული ნაწილი თარგმნილია ქართულ ენაზე - თბ. 1964). მონოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება: თეორიული ნაწილისა (სისტემატიკა) და ლექსიკისაგან, რომელსაც ეს თეორიული ნაწილი ემყარება და ფაქტობრივად ქართველურ ენათა პირველ შედარებით ლექსიკონს წარმოადგენს არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონის" (1938) შემდეგ. ეს ნაშრომი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიაში შევიდა როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ქართველური ენების შესწავლის საქმეში. ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. იგი განიხილება როგორც ახალი საფეხური ამ ენათა კვლევა-ძიებაში.

კ. შმიდტის ფართო მეცნიერული ინტერესების სფეროში შედის აგრეთვე მთის (ჩრდილო) კავკასიური ენები - მათი გრამატიკული სტრუქტურა და ისტორია. იგი ავტორია ისეთი სპეციალური კავკასიოლოგიური ნაშრომებისა, როგორიცაა: „ასპექტი და დრო თაბასარანულში" (1968), „ბრუნვა, პრევერბი და პოსტპოზიცია კავკასიურ ენებში" (1976), „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემები" (1977), „მარტივი წინადადების ანალიზისათვის კავკასიურ ენებში" (1974) და სხვ. მთის კავკასიურ და ქართველურ ენათა მონაცემების მრავალ ინდოევროპულ და ზოგადენათმეცნიერული ხასიათის შრომებში ფართოდ და უხვად არის გამოყენებული, როგორც ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის ან რაიმე დებულების საილუსტრაციო მასალა - ერთნაირად საინტერესო და საყურადღებო როგორც ინდოევროპული, ისე ქართველური თუ მთის კავკასიური ენების სპეციალისტებისათვის. უფრო მეტიც: სრულიად განსაკუთრებულ ყურადღებას მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში იქცევს სერია შესანიშნავი გამოკვლევებისა ქართველურ/კავკასიურ და ინდოევროპულ ტიპოლოგიაში. ნაშრომთა უბრალო და ნაწილობრივი ჩამოთვლაც კი ნათელს ხდის, თუ რა დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ სახის კვლევა-ძიებას მის მუშაობაში. ესენია, მაგალითად: „ინდოგერმანულ/კავკასიური ტიპოლოგიის პრობლემები" (1972), „ინდოგერმანულ და სამხრეთ-კავკასიურ ენათა ტიპოლოგიურ-შედარებითი გრამატიკის საკითხები" (1967), „ქართველური და ინდოგერმანული ზმნური სისტემის ტიპოლოგიური შედარება" (1985), „კავკასიური ტიპოლოგია, როგორც დამხმარე საშუალება წინარე-ინდოგერმანულის რეკონსტრუქციისათვის" (ინსბრუკი, 1983) და სხვ. ეს განმაზოგადოებელი და შემაჯამებელი ტიპოლოგიური ხასიათის გამოკვლევები ემყარება კონკრეტული გრამატიკული (ზმნური, სახელური თუ სინტაქსური) კატეგორიების დეტალურ ენობრივ ანალიზს, როგორც ქართველური, ისე ინდოევროპული ენებისას. მოვუთითებთ მხოლოდ რამდენიმე ასეთ ნაშრომზე: „ინდოგერმანული მედიუმი და სათავისო ქართულში" (1965) „პასივისათვის ქართულსა და ინდოგერმანულ ენებში"(1962), „აკუზატივის სინტაქსისათვის

ქართველურსა და ინდოევროპულ ენებში" (1966). „ძველი ქართულისა და ინდოევროპული ენებში" (1964). „ქართული პერმანსივი და ინდოევროპული ინჯუნქტივი" (1969) და სხვა შრომები. ეს მუშაობა დღესაც გრძელდება: „ქართველური და ინდოევროპული" (1998). „ინდოევროპეისტიკა ინდოევროპულისა და ქართველურში" (1997) და სხვ. ყველა ამ ნაშრომის თავმოყრა და ერთ წიგნად გამოცემა ფრიად საჭიროა და სასურველი - ეს იქნება მნიშვნელოვანი წვლილი როგორც ინდოევროპულ, ისე იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში.

ქართველების გარეშე არ გვინდა დარჩეს კიდევ ერთი მხარე კ. შმიდტის მრავალფეროვანი და ნაყოფიერი, სასარგებლო მუშაობისა - ესაა ის 450-ზე მეტი რეცენზია, რომლებიც მან სხვადასხვა ენისა და დარგის ლინგვისტური ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს მიუძღვნა. ქართველურ-კავკასიურ ლიტერატურას აქაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აქვე დავძენ, რომ მისი რეცენზია არასდროს არ არის „რეცენზია რეცენზიისათვის", არამედ მარტივ საშუალებაა საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვისა, სხვისი ნაშრომისა და ნააზრევის ობიექტური შეფასებისა. ამ ნაშრომთა ნახევარზე მეტი შორის წავიკითხე.

კიდევ ერთი ფრიად სასარგებლო საქმიანობის შესახებ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა - ესაა კ. რიხბახერის წიგნი „მასალები ქართული ბიბლიოგრაფიისათვის (ევროპულენოვანი ლიტერატურა), 1981, რომლის რედაქტორი და წინასიტყვაობა კ. შმიდტს ეკუთვნის. მისივე კონსულტაციებითა და ზრუნვით ეს მუშაობა ბონის უნივერსიტეტში დღესაც გრძელდება.

ანგარიშგასაწევია და საყურადღებო კ. შმიდტის თვალსაზრისი იბერიულ-კავკასიური (სამხრეთ- და ჩრდილო-კავკასიური) ენების ურთიერთმიმართებისა და ოჯახის შიდამიმართებათა და ამ ენათა სხვა ოჯახების ენებთან ურთიერთობის საკითხებზე (მაგ., ხამიტურთან, ბასკურთან...). სამეცნიერო წრეებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ კ. შმიდტი არ იზიარებს ლეგენდას ქართველური და მთის კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის შესახებ, რამდენადაც ენათმეცნიერთა ერთ ნაწილთან ერთად მასაც მიაჩნია, რომ ეს ნათესაობა ლინგვისტური თვალსაზრისით ჯეროვნად დასაბუთებული და დამტკიცებული არ არის. თუმცა, როგორც მან ერთი საუბრისას აღნიშნა, ასეთი შესაძლებლობა მომავალში პრინციპში არ არის გამორიცხული, რასაკვირველია, ამ ენათა უფრო ხანგრძლივი შესწავლის შედეგად. იმავე მიზეზებით ასევე მიუღებელია მისთვის ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზაც („ლოგიკური ანალიზი იბერია ენათმეცნიერული თვალსაზრისით", 1987). თავისებურია მისი შეხედულება მთის კავკასიური (და საერთოდ იბერიულ-კავკასიური) ენათა ოჯახის ჯგუფური შეფარდებების შესახებ. ამიტომაც, მისთვის საეჭვოცაა და დასაზუსტებელი ცნება „იბერიულ-კავკასიური ენები", „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება".

ერთი დეტალიც: მიუხედავად მისი არაერთი ნიჭიერის საენათმეცნიერო სკოლისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, იგი სავსებით ნამდვილად არის. ნიკოლაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ოქტომბერს და ცნობილი მონაწილეობა მთავარ მის მუშაობაში, როგორც მან თავისი პატივისცემა და კოლეგიალურობის დადასტურება არის. ნიკოლაძისა და ქართველ სამეცნიერო საზოგადოების. სხვებიმ მივუბა და აქვე დავძენ, რომ მას განსაკუთრებული ადგილი, მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობა აქვს ბევრ ქართველ კოლეგასთან - თ. გამყრელიძესთან, კ. წერეთელთან, ქ. ლომთათიძესთან, ელ. მაჭავარიანთან, ს. ამაშუკელთან, გ. თოფურიასთან და სხვ., ასევე იბერიის მკვლევარ ახალგაზრდა ენათმეცნიერებს აც.



ქ. ლომთათიძე, კ. ჰ. შმიდტი., 1981 წ.

ფოტო ბ. თოფურიასი

მასპინძლობით.

გამოჩენილი ქართველოლოგისა და ინდოევროპეისტის, კ. შმიდტის, „გაქართველოლოგება", როგორც ამას თვითონ ამბობს, გამოჩენილი ქართველოლოგის გერჰარდ დეეტერსის დამსახურებაა და, ბუნებრივია, რომ კ. შმიდტი მას თავის მასწავლებლად (Doktorvater)-ად თვლის. ძირითადად საქართველოში კ. შმიდტი გერმანელ თანამედროვე წინამორბედებს ნაწი-

ვიდა 1960 წელს, აღმოსავლეთმცოდნეთა XXV კონგრესის დამთავრების შემდეგ. ამ დღიდან მას ქართველ კოლეგებთან კავშირი არ გაუწყვეტია. მან, როგორც რაინის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახ. ბონის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა და თვ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა მეტად საყურადღებო ნაყოფი და დიდი ამაგი დასდო გერმანულ და ქართველ ენათმეცნიერთა დაახლოებისა და თანამშრომლობის კეთილშობილურ საქმეს. იგი არაერთხელ ყოფილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის და ხელნაწერთა ინსტიტუტებისა თუ სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა სასურველი სტუმარი და აქტიური. საქმიანი მონაწილეობა მიუღია საქართველოში ჩატარებულ კონგრესებში, სამეცნიერო სესიებში, იუბილეებსა თუ ცალკეულ სხდომებში. ჩვენი უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები მისი მოწვევით 1985 წლიდან დაწყებული ბევრჯერ ყოფილან მონაწილენი ბონში ჩატარებული სამეცნიერო სესიებისა - „კავკასიური ენობრივი პრობლემები", რომელთა ჩატარების ინიციატორი, მუდმივი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ქ. შმიდტი იყო. მისი დირექტორობის პერიოდში ხუთი ასეთი სესია ჩატარდა, რომელთა მუშაობაში გერმანელ კოლეგებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. ძალიან სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ უკვე ტრადიციულად ქცეული ეს შეხვედრები ქ. შმიდტის პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა და წარმატებით გრძელდება ოლდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტში ცნობილი ქართველოლოგის ვინფრიდ ბოედერის ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით. უკვე სამი ასეთი შეხვედრა გაიმართა 1995-1999 წლებში. კმაყოფილებით უნდა ითქვას, რომ ჩვენს ამ სესიაზე, როგორც ბონში, ისე ოლდენბურგში ყოველთვის საქმიანი, კოლეგიალური, ურთიერთგაგებისა და კეთილგანწყობილების ატმოსფერო სუფევდა და დღესაც ასეა, თუმცა ბევრი რამ შეიძლება საკამათო და სადისკუსიო ყოფილიყო და იყოს კიდეც.

ქ. შმიდტის ნაყოფიერი და მრავალმხრივი ქართველოლოგიური მოღვაწეობის (სხვა დარგებს რომ თავი დავანებოთ) ნათელი აღიარებაა ის, რომ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად იქნა არჩეული (3.X.1988), ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად სწორედ ქართველოლოგიის ხაზით (28.VI.1996). ამ დღეს აკადემიკოსებად არჩეულ იქნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც არიან: ვ. ბოედერი, ი. ასფალგი, მ. ესბროკი, ბ. უტიე, ქ. ფენრიხი, გ. შარაშიძე. მეცნიერების წინაშე მისი დიდი დამსახურების აღიარებაა ის სოლიდური კრებული, „ფესტშრიფტი", „Indogermanica et Caucasica", რომელიც მისმა მოწაფეებმა და კოლეგებმა მას დაბადების 65 წლისთავზე მიუძღვნეს ნიშნად დიდი პატივისცემისა. კრებულში ქართველი ენათმეცნიერებიც იღებენ მონაწილეობას. მის დიდ სამეცნიერო ავტორიტეტს მოწმობს ისიც, რომ წლების მანძილზე ის იყო ჟურნ. „Вопросы языкознания"-ს სარედაქციო საბჭოს წევრი. დღეს იგი „Georgica"-ს და ქართ. ჟურნალის „ენათმეცნიერების საკითხები"-ის სარედაქციო საბჭოს წევრია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დიდი ღვაწლი კავკასიოლოგიური ენათმეცნიერების, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების საქმეში. კავკასიოლოგიური კურსებიდან იგი სპეციალისტებს ატარებდა „[illegible]" შესახებ, ასწავლიდა ხუნძურს და სხვ. მას დიდი ამაგი და დამსახურება მიუძღვის დღევანდელი გერმანიის კავკასიოლოგიური ლინგვისტური სკოლის შექმნისა და ჩამოყალიბებაში. ჩვენთან კარგად იციან მისი ბევრი მოწაფე, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ გერმანიისა და ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში: მიხაელ იობი (გეტინგენი), როლანდ ბილმაიერი (ბერნი), ვოლფგანგ შულცე (მიუნხენი), რაინჰარდ შტემპელი (ბონი) და სხვ. მისი სამეცნიერო კონსულტაციითა და რეკომენდაციებით არაერთ ქართველ სპეციალისტს უსარგებლია და არა მარტო კონსულტაციებით - მადლიერების გრძნობით უნდა ითქვას, რომ მისი სახლი მეკენჰაიმში (ბონთან ახლოს) მუდამ ნავთსაყუდელია გერმანიაში ბევრი ქართველისათვის. საქართველოდან ჩამოსულ სტუმარს ქ. შმიდტი და მისი მეუღლე დორისი საოცარი სტუმართმოყვარეობითა და ყურადღებით ეპყრობიან ხოლმე. საკვირი ისაა, რომ მათ ყოველთვის იციან, რა გჭირდება, რა გიჭირს და ყოველთვის ცდილობენ მდგომარეობა შეგიმსუბუქონ, დახმარება აღმოგიჩინონ. ამ მხრივაც ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ იმის გახსენებით დავკმაყოფილდებით, რომ გ. თოლურიას სადოქტორო დისერტაცია ქ. შმიდტის სპონსორობით არის გამოცემული.




1994 წლის 3 ივნისს პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით კარლ შმიდტს გულთბილი გაცილება მოუწყვეს. ბონის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ მისი მრავალრიცხოვანი კოლეგები, მოწაფეები, სტუდენტები, მეგობრები, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს მისი დიდი მეცნიერული ღვაწლი, ფართო დიაპაზონი სხვადასხვა ტიპის ენების კვლევაში, დიდი დამსახურება ახალგაზრდა მკვლევართა გამოზრდის საქმეში. სხვებთან ერთად ჩვენც იმნაიშვილსაც ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა ამ გაცილების ცერემონიალს. მისალმებებში ქართველი მონაწილეობდნენ: [illegible] თ. გამყრელიძე და საქართველოს ელჩი გერმანიაში კ. გაბაშვილი.

2000 წლის 31 მაისს კარლ შმიდტი 71 წლისა ხდება. იგი მხნედ და ჯანმრთელად არის და ჩვეული ენერგიით განაგრძობს თავის დიდ საქმეს. ვუსურვოთ მას კავკასიური დღეგრძელობა და მხნეობა, ჯანმრთელობა, ოჯახური და მეცნიერული სიხარული მრავალჟამიერ.

განვაგრძობთ ბეჭდვას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაცემული სიუჟეტების ტექსტისა, რომლის ავტორი არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე; კონსულტანტი - ამავე განყოფილების ხელმძღვანელი, დოც. შუქია აფრიდონიძე.




# სწორია

## დაგვლოცე, მამაო!

დღევანდელი ჩვენი თემა რელიგიური ხასიათისაა. ჩვენ ვისაუბრებთ სასულიერო ტერმინოლოგიის ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. მეტყველებაში გვაქვს სასულიერო პირების მოხსენიებისა და მიმართვის ფორმათა დამახინჯების შემთხვევები, რომლებიც ძალიან მომრავლდა ამ ბოლო დროს.

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვა **მამა** სასულიერო ტერმინოლოგიით აღნიშნავს როგორც ღმერთს (მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა, მამა ზეციერი), ასევე სასულიერო პირს, ადამიანსაც (მამა გიორგი, მამა პავლე) ბუნებრივი მშობლისაგან განსასხვავებლად. ღმერთის ან სასულიერო პირის აღმნიშვნელ სიტყვას **მამა** წოდებით ბრუნვაში ანუ მიმართვისას ო დაბოლოება ემატება (შდრ.: მამა, შენთან სტუმრები არიან და „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“).

რაც შეეხება სასულიერო მნიშვნელობის **მამა** ფორმის სხვა სახელებთან ერთად ხმარებას (მამა გიორგი, მამა დავით), ის უცვლელია ყველა ბრუნვაში, გარდა წოდებითისა: იბრუნვის მხოლოდ საკუთარი სახელი (მამა გიორგი, მამა გიორგიმ, მამა გიორგის...) რაც შეეხება წოდებით ბრუნვის ანუ მიმართვის ფორმას, აქ დასაშვებია როგორც **მამა**, ისე **მამაო** ფორმების გამოყენება (მამა გიორგი, გვაკურთხეთ, და ასევე მამაო გიორგი, გვაკურთხეთ).

მაგრამ მიუღებელია „მამაო“ ფორმის გამოყენება იქ, სადაც არ გვაქვს მიმართვა რომელიმე სასულიერო პირისადმი. ხშირად ამბობენ - მამაო გიორგიმ თქვა, მამაოს უთქვამს, მამაომ მითხრა, რაც შეცდომაა. ამ შემთხვევებში „მამა“ ფორმა საერთოდ არ იბრუნვის, „მამაო“ კი მხოლოდ მიმართვისას უნდა გამოვიყენოთ. ასე რომ, სწორი ფორმებია: **მამა გიორგიმ თქვა, მამა დავითს უთქვამს, მამა პავლემ მითხრა**. მიმართვისას კი ვამბობთ: **მამაო, გვაკურთხეთ; მამაო (ან მამა) გიორგი, თქვენთან კითხვა** გვაქვს **და** ა.შ.

## ვხატ-ავ, ვსვ-ამ

ქართულში ზმნას, ანუ მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვას, შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის დაბოლოება: - ებ (ვაკეთებ); - ობ (ვათბობ); -ავ (ვხნავ); -ამ (ვაბამ) და სხვები. ხშირად ეს დაბოლოებები ერთმანეთში ერევა და არ ვიცით, რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ (ვაბამ თუ ვაბავ, ვარტყამ თუ ვარტყავ; ვსვამ თუ ვსვავ). განსაკუთრებით ხშირად ერევა **-ავ** და **-ამ** დაბოლოებები.

ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ქართული ენის ერთ კილოში ერთი დაბოლოებაა გაბატონებული, მეორეში კი - მეორე. მაგ.: აღმოსავლურ კილოებში ორივე შემთხვევაში **-ამ** დაბოლოება გვაქვს (ვხატამ, ვაბამ, ვასხამ, ვკარგამ); დასავლურ კილოებში კი -ავ დაბოლოება გვაქვს (ვხატავ, ვაბავ, ვარტყავ, ვასხავ). სწორედ ამ უკანასკნელი დიალექტის გავლენით სასაუბრო ენაში ფრიად გავრცელდა შემთხვევები, სადაც **-ავ** დაბოლოება იხმარება **-ამ** დაბოლოების ნაცვლად: ვსვავ, ვასხავ, ვარტყავ უმართებულო ფორმებმა პრესაშიც იჩინა თავი.

არადა, სწორი და არასწორი ფორმების გარჩევა საკმაოდ მარტივია. ამაში საწყისი ანუ ზმნის უპირო ფორმა დაგვეხმარება. თუ საწყისში **მ** თანხმოვანი გვაქვს, ზმნაშიც **ამ** დაბოლოება გვექნება; ასევე **-ავ** დაბოლოება უნდა გამოვიყენოთ, თუ საწყისში **ვ** თანხმოვანია.

ასე რომ, სწორი ფორმებია: **ვხატავ, ვკარგავ, ვკერავ**, რადგან საწყისია - ხატვა, კარგვა, კერვა. ასევე სწორი ფორმებია: **ვსვამ, ვაბამ, ვარტყამ, ვასხამ**, რადგან საწყისია: სმა, დაბმა, დარტყმა, დასხმა და ა.შ.

## ამპლუა-ამპულა

ჩვენთვის ნაცნობია პარონიმები, ანუ სიტყვათა წყვილები, რომლებიც ფორმით მინიმალურად (ხშირად მხოლოდ ერთი ბგერითაც კი) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შინაარსის მხრივ კი მათ შორის ხშირად საკმაოდ დიდი სხვაობაა.

დღეს თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სიტყვათა წყვილზე: **ამპლუა - ამპულა.**

**ამპლუა** - გარკვეულ ხასიათს, როლს, ამა თუ იმ პირისთვის, პროფესიისთვის დამახასიათებელ მდგომარეობას აღნიშნავს. ამიტომ ვამბობთ - ნანა თავის ამპლუაში იყო; გიორგი პოლიტიკოსის ამპლუაში მოგვევლინა; თეა გიდის ამპლუაში აღმოჩნდა და ა.შ.

ხოლო **ამპულა** კი მინის პატარა, ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელს აღნიშნავს, რომელიც წამლის შესანახად არის განკუთვნილი.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სიტყვას (ამპლუა-ამპულა) შორის ფორმობრივ სხვაობას მხოლოდ ბგერათა რიგი ქმნის, შინაარსის მხრივ მათ შორის დიდი განსხვავებაა. ამიტომ მიუღებელია მათი ერთიმეორის ნაცვლად ხმარება, რასაც არცთუ ისე იშვიათად შევხვდებით სხვადასხვა პირთა მეტყველებაში.

ხშირად გაიგონებთ - ესა და ის პირი ბიზნესმენის ამპულაში ვიხილეთ; იგი დღეს ჟურნალისტის ამპულაშია; აქ საუბარი არ არის წამლის ჭურჭელზე, რასაც სიტყვა „ამპულა“ გამოხატავს, ამიტომ სწორი წინადადებებია: **ესა თუ ის პირი ბიზნესმენის ამპლუაში ვიხილეთ, იგი დღეს ჟურნალისტის ამპლუაშია;** მაგრამ წამალი ამპულაშია მოთავსებული.

თამარ შარაბიძე

# ავანგარდისტული ტრადიციები 60-90-იანი წლების პოეზიაში

ცხოვრება ვითარდება, იცვლება. მას ფეხდაფეხ მისდევს ლიტერატურაც. ისიც იცვლება და ვითარდება. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ დღევანდელი მწერლობა რუსთველისდროინდელ მწერლობაზე უფრო განვითარებულია. ძლიერი, ამაღლებული და ამაღლებული, შეთვისებული აქვს საუკუნეების გამოცდილება. რა თქმა უნდა, არა. ლიტერატურის და, კერძოდ, პოეზიის განვითარება დროის მიხედვით არ გულისხმობს მის თანდათანობით დახვეწასა და გაუმჯობესებას, ისევე როგორც ცივილიზაციის განვითარება არ იწვევს სულიერების ამაღლებას. პოეზიაც სულიერების სფეროს მიეკუთვნება. მისი უკეთესი გამოსხივება ანუ ჭეშმარიტი პოეზიის დაბადება ღვთის ნებაზეა დამოკიდებული და არა დროზე, რომელიც ყველაფრის განვითარებას, ან უკეთ რომ ვთქვათ, ყველაფრის ცვლილებას იწვევს. ამიტომ, როდესაც პოეზიის განვითარებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიგულისხმოთ ის ცვლილებები, რომლებიც მასში წარმოჩნდება დროის მიხედვით. ეს ცვლილებები ეხება მწერლის მიერ სინამდვილისადმი მიდგომის და მისი ასახვის მეთოდს, გრძნობათა გამოხატვის მანერას, მხატვრული ხერხების გამოყენებას, სტილს, რიტმისა და რითმს და ა.შ. ამიტომაც საუკუნეების მანძილზე ლიტერატურული მიმართულებანი ერთმანეთს ცვლიან. ვითარდება ახალი ჟანრები და სახეს იცვლის ძველი. განვითარება ახლის დაბადებაა. ჩახრუხაძის რვამარცვლიანი შაირი რუსთველის თექვსმეტმარცვლიანით შეიცვალა. გურამიშვილი იმიტომაც არის დიდი პოეტი, რომ დასძლია რუსთველური შაირი და გადაახლოვება ტრადიციულ საზომებს.

ყველა გენიოსს ცვლილება შემოაქვს ლექსთწყობაში. ახალი ლიტერატურული მიმართულება კი იწვევს ცვლილებას სინამდვილისადმი მწერლის მიდგომაში, ამავე დროს ამკვიდრებს ახალ-ახალ ფორმებსა და გამოხატვის საშუალებებს. ახალი ზოგჯერ ძველზე შენდება, ზოგჯერ კი ძველის ნგრევას იწვევს. პოეზიასაც ახასიათებს ტრადიციათა ნგრევის პროცესი, რათა გაჩნდეს სრულიად ახალი. ეს ახალი ხშირად არცაა ფასეული, ამიტომაც იკარგება და ქრება. ზოგჯერ კი იღებს ტრადიციიდან საუკეთესოს და მკვიდრდება განახლებული, აღორძინებული სახით. ქართულ პოეზიაშიც კი ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ცნობილია, რომ ქართველი სიმბოლისტები თავიანთ ადრეულ შემოქმედებას ძიების ხანად თვლიდნენ. ამიტომაც უარყვეს ტრადიციული - აზრის მკაფიოდ გამოხატვის გზა, არც ალეგორია მიიჩნიეს საუკეთესო საშუალებად და პოეტურ ხილვაზე, ემოციაზე, ასოციაციაზე დამყარებული გრძნობებით თქვეს სათქმელი. აზრის გამოხატვის, მუსიკალურობის, რითმისა და რიტმის ძიებამ საბოლოოდ მათი უმრავლესობა ცოცხალ ქართულ პოეტურ სიტყვასთან მიიყვანა.

ნგრევა-შენების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს ლიტერატურაში. პოეზიაში ის კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ქართული ლიტერატურა უმეტესწილად ტრადიციულ გზას ირჩევს. მკვეთრი დაპირისპირება ახლისა ძველისადმი ჩვენში ნაკლებად გამოიკვეთება. ახალი ყოველთვის ძველის ნიადაგზე ყალიბდება და იშლება, მაგრამ მაინც ვითარდება, ე.ი. იცვლება. როგორია თანამედროვე ქართული პოეზია? მასში ძირითადად ორი მიმართულება გამოიკვეთება: ტრადიციული ლექსი, კარგად ნაცნობი მხატვრული საშუალებებითა და რითმებით და ავანგარდისტული ტრადიციების მიბაძვით შექმნილი ახალი ტიპის პოეზია, უარყოფა ყოველივე ტრადიციულისა (როგორც თემების, ასევე ფორმების და მხატვრული საშუალებების), ყოველდღიური ვითომპრობლემების უხეში სიტყვიერი ფორმით გამოხატვა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სულიერებასთან და მხოლოდ დაკვირვებული ან თუნდაც ნიჭიერი კაცის ენამოსწრებული თქმაა. ესეც დრომ მოიტანა, რადგან გაცილებით ძნელია, ილაპარაკო უკვე მრავალჯერ დამუშავებულ თემაზე, გამოიყენო ტრადიციული ასახვის ფორმები და თქვა ახალი, შენეული, ვიდრე მოძებნო ორიგინალური თემა ან მისი გამოხატვის ორიგინალური საშუალება. ავანგარდისტული ტრადიცია სწორედ ამ ორიგინალურ თემებსა და გამოხატვის ფორმებს გვთავაზობს. აქაც სირთულეს ვაწყდებით, რადგან სათქმელის ორიგინალობა ერთია და პოეტობა მეორე. არ არის სწორი მსჯელობა, რომ დრომ ნაკლა ადამიანში ამაღლებული, დაიყვანა იგი პრიმიტიულ ყოფით პრობლემებზე და პოეზიამაც ეს პრიმიტიული, ნაკლული სული უნდა ასახოს. თანამედროვე ქართული პოეზიის მცირედი მიდრეკილება ავანგარდისტული ტრადიციებისაკენ, ვფიქრობ, ლიტერატურულმა მოდამ განაპირობა, რომელიც ლიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურული გავლენის პროცესის გამო მეტნაკლებად ყველგან ვრცელდება და მათ შორის ჩვენშიც. საინტერესოა, როგორია ავანგარდისტული ტრადიციები 60-90-იანი წლებიდან და რა სახით ვრცელდება ქართულ პოეზიაში.

თანამედროვე ავანგარდისტთა აზრით, **ტექსტი უკანასკნელი დიქტატურაა, რომელიც დაეცემა, როგორც ყველა დიქტატურა;** იბადება ახალი ხელოვნება, ხელოვნება სიტყვისა, რომელიც მის მრავალმხრივ გაგებას ეყუძნება; სიტყვის სემანტიკური ძირების მნიშვნელობა დრომ და ტრადიციამ ჩაკლა,ამიტომაც საჭიროა მის საიდუმლო სამყაროში შეღწევა, რომ „სიტყვა ღმერთია" აღარ იწერებოდეს ბრჭყალებში, რომ დაახლოვდეს ენები და ბაბილონის კოშკმა აღარ გათიშოს ისინი. ამ იდეური ჩანაფიქრის განხორციელებისათვის მინიმუმამდე იკვეცება ტექსტი და იძებნება ახალი ფორმები სიტყვის არაერთმნიშვნელოვანი გაგებისათვის, რასაც ავანგარდისტები ახერხებენ შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

1) ანაგრამით (ასოთა ისეთი გადაადგილებით რომ სხვა სიტყვა ან აზრი მივიღოთ): მაგ.: **ენა დაიშაქრა და... - შაქარი დაადნე.**

2) პალინდრომით (ერთნაირი წაკითხვით თავიდან და ბოლოდან): მაგ.: **„აირევი ივერია"** (გალაკტიონი).

3) სხვადასხვაგვარი წაკითხვით თავიდან და ბოლოდან: მაგ.: **არ კმარა - არ ამკრა.**

4) პანტოგრამით (სიტყვათა სხვადასხვაგვარი დაყოფის გამო ტექსტის სხვადასხვაგვარი წაკითხვით): **„მეშინია - მე შინ ია"** („თაიგული" გრიშაშვილი).

5) სიტყვის მრავალჯერადი გამეორებით ახალი სიტყვის მისაღებად: მაგ.: **ალისფერია ფერია ალის.** და ა.შ.

სიტყვის მრავალმხრივი მნიშვნელობით გაგებისთვის ავანგარდისტები აწარმოებენ ანბანზე და კალიგრაფიაზე დაკვირვებასაც. ზოგიერთ ენებში ხერხდება სიტყვის უკუღმა წაკითხვა ან 90 გრადუსით შემობრუნებულის ან კიდევ შუაზე გაყოფილის, სადაც ზედა და ქვედა ნაწილს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა ეძლევა და ა.შ.

ავანგარდისტებს ლექსში შემოაქვთ მუსიკალური ფორმებიც. მათგან ყველაზე პოპულარულია პოლიფონიზმი, როდესაც ორი ან მეტი ტექსტი ერთდროულად ვითარდება და ერთდროულად იკითხება კიდეც. ხანდახან ლექსის ტექსტი იგება მხოლოდ მუსიკალურ ფორმაზე. უცნობ სიტყვებს ან სასიმღერო ბგერებს არც კი ეძიებათ აზრის გამოხატვის ფუნქცია და მხოლოდ ემოციურ განწყობილებას ქმნიან. ის, რაც ლიტერატურაში არ გადმოდის მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურის გამო, ავანგარდისტების მიერ მაინც გადმოტანილია ახალი ფორმით. მაგალითად, ტონალობის ჩვენებას ისინი ახერხებენ კონტრასტული თემების მეშვეობით. აკომპანიმენტს ასრულებენ სიტყვიერი რითმული მარცვლებით და არ არღვევენ ისეთი რთული ფორმის მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურასაც კი, როგორიცაა სონატა ან სიმფონია. ხშირად მუსიკალურ ფორმებზე აგებული ლექსები რამდენიმე პირის მიერ სრულდება, სადაც ერთი რიტმს გამოხატავს დარტყმით, მეორე ჟესტიკულაციით განასახიერებს, მესამე კი ტექსტს კითხულობს.

აზრის გამოხატვის ახალი ფორმების დამკვიდრებასთან ერთად ავანგარდიზმი მიისწრაფვის მინიმალიზმისაკენ. მინიმალიზმი გულისხმობს არა მხოლოდ მოკლე ტექსტს, არამედ „მუნჯურ" სისტემასაც. მინიმალისტური ტექსტი შეიძლება შედგებოდეს, როგორც რამდენიმე სიტყვისაგან, ასევე რამდენიმე წერითი ნიშნისაგან. სამაგალითოდ მოვიყვანთ ცნობილი პოეტის ანა ნაკოხიძის ლექსს:

**რ,**

**რ.** („კომბაინი" 1971)

ორი **რ** გამოხატულება უნდა იყოს კომბაინის ხმაურისა, ხოლო თავად ლექსი სათაურიდან გამომდინარე ემოციით უნდა აღიქვა, აგრეთვე ვიზუალურადაც. ის დაბეჭდილია გაყვითლებული, უსწორმასწორო ქაღალდის ნაგლეჯზე და შემდეგ მიკრულია თეთრ ფორმატზე. ყველაფერ ამას თავისებური პოეტური დატვირთვა აქვს.

მინიმალისტური ლექსი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ორ გარითმულ სიტყვას (**მტკვარი-ქარი**), ან თუნდაც ერთ სიტყვას (**ძონძები**), ან სიტყვათა ემოციურ გადაბმას (**ცამთები-ზღვა**). მხოლოდ ერთ მხატვრულ სახეს (**„ვარდი სილაში"**), ერთ წინადადებას (**„ის მიდიოდა ქუჩაში ერთი"** - გალაკტიონი). თუ როგორ უნდა აღვიქვათ ასეთი ტიპის ლექსები ლექსებად, მკითხველისათვის მიგვინდია, მათი ავტორების აზრი კი შემდეგია: 1) მთლიანი ლექსიდან უმეტეს შემთხვევაში გამახსოვრდება ცალკეული სტროფები ან სიტყვები. ეს არის მთავარი და ემოციური ლექსში, დანარჩენი ზედმეტია. 2) მოკლე ტექსტი გაძლევს შესაძლებლობას განავითარო სურათი და გაესაუბრო თავად პოეტს. 3) მიიღო არა მზამზარეული, არამედ თავად აამოქმედო გონება.

მინიმალისტური პოეზიის ნიმუშებია ვექტორული და ჟესტური ლექსები, ვაკუუმური ლექსები. ვექტორული ნაწარმოების მიზანია სიტყვის გამოხატვა ნებისმიერი საშუალებით: ფერით, გამოსახულებით, ხაზით და ა.შ., რათა ლიტერატურა იყოს კომუნიკაბელური და მეცნიერების სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებულ, დარგებთან დაახლოებული. ასეთი სახეობის ლექსებში იყენებენ ნახატებს, ცხრილებს, გრაფიკებს, ხაზებს და ვექტორულ საშუალე-

ბებს. მოვიყვანთ ჩვენს მიერ ამორჩეული ასეთი ტიპის ლექსის ყველაზე მარტივ მაგალითს:

**—— ▶ OHO ◀ ——**

მის გაანალიზებას არ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ვექტორები აფიქსირებს ენერგიას და მიმართულებას. კითხვის დროს ის გამოიხატება ჟესტითა და მოძრაობით. ამიტომაც, ლექსის სხვადასხვაგვარ ვექტორთა ტრაექტორია იგივე სცენარია მოხერხებული მკითხველისათვის, რომელმაც, როგორც მსახიობმა, ჟესტითა და ხელის მოძრაობით უნდა შეასრულოს ნაწარმოები.

ზოგჯერ ლექსის გრაფიკული გამოხატულება ისეთი რთულია, რომ ქმნის არქიტექტორულ ნაგებობას, სადაც აზრის ამოკითხვა ხერხდება ვექტორთა მიმართულების მეშვეობით, ხან ქვემოდან ზემოთ, ან ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ, დიაგონალზე, სპირალისებურად, ზიგზაგებით და ა.შ. მიმართულების მაჩვენებელი ვექტორის ფერსაც თავისი დატვირთვა აქვს.

ავანგარდისტთა აზრით, ვექტორულ და ჟესტურ პოეზიაში სპეციალურად კოდირებულია აზრი, რათა მას აღარ ესაჭიროებოდეს თარგმნა.

ჟესტური ლექსები ვაკუუმური პოეზიის ერთ-ერთი სახეობაა, რადგან ველოდებით სიტყვას და ვიღებთ მოძრაობას. ვაკუუმის, როგორც მხატვრული ხერხის მაგალითი შეიძლება ნებისმიერ ტრადიციულ ლექსში აღმოვაჩინოთ, როცა აზრის დასრულების ნაცვლად მრავალწერტილს ვხვდებით, მაგრამ ნამდვილი ვაკუუმი არის სრული სიცარიელე სტროფში და მთლიანად ლექსში. ვაკუუმური ლექსები თავისი ხასიათით მინიმალურია, რადგან გამორიცხავს ყოველგვარ მასალას, მაგრამ შესაძლებელია არც იყოს მინიმალური, რადგან სრულ სიცარიელეს ვერც ბუნება და ვერც ლიტერატურა ვერ იგუებს. ამიტომ ვაკუუმისტის ნიჭი მჟღავნდება იმ ნარჩის გამოსახვაში, რომელშიაც ეს ვაკუუმია. ვაკუუმური ლექსის ნიმუშია:

„((((          ))" (ანა ნიკონოვა)

ხანდახან ავტორი ასახელებს სიტუაციას და არ განმარტავს მას. მაგალითად, „ავტორის 312 ნაბიჯი მიკროფონამდე" (ანა ნიკონოვა). ეს ლექსიც ვაკუუმური პოეზიის ნიმუშია, თუმცა მასში არ არის სრული სიცარიელე.

ავანგარდისტულ პოეზიაში გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებიც სულ მთლად ვერ თავსდება მინიმალისტურ ჟანრში, თუმცა თვისობრივად ისევ ამ ჟანრს მიეკუთვნება. ამის მაგალითია ლექსი-ცხრილები და ლექსები საგნებით, ასევე რთული არქიტექტორული ლექსებიც. ლექს-ცხრილებში მოთავსებულ სიტყვათა კომბინაციით სქემის მიხედვით მოთხრობაც შეიძლება შევადგინოთ, გრძნობებზე დამყარებული ლექსიც და დეტექტივიც. ლექსები საგნებით შეიძლება იყოს მინიმალისტურიც, თუ ტექსტი მინიმუმამდე შემცირებულია, და ვაკუუმურიც, თუ, საერთოდ არ არის. ასეთ ლექსებში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებათ საგნებს, რომლებიც ლექსის ფონს ქმნიან (მაგალითად, ტექსტი: **მადიანად მიირთვით** - უნდა ამშვენებდეს ან ქვაბს, ან ტაფას). თეატრალური ლექსები საგნებით მოითხოვს შესრულებასაც. მაგალითად, ლექსის ტექსტი - **„რომ ვასწავლოთ ლექსებს ცურვა, უნდა ჩავყაროთ წყალში"** - საჭიროებს წყლიან ჯამს, რათა შესრულდეს ტექსტში მითითებული მოქმედება. ამ მიმართულებას მიეკუთვნება კულინარული ლექსებიც, რომელთა საგანიც საჭმელი პროდუქტია, ხოლო მოქმედება მდგომარეობს მის მომზადებაში და ალბათ ამის შემდეგ ჭამის გასინჯვაში. ასეთი ლექსები კერძის მომზადების ერთგვარი რეცეპტია.

როგორც ვხედავთ, ვექტორული, ჟესტური, ვაკუუმური, არქიტექტორული, ცხრილებით, სქემებით და საგნებით გამოხატული ლექსები არ არიან შეზღუდული ერთი რომელიმე აქ ჩამოთვლილი განხრით და ერთი და იგივე ლექსი რამდენიმე ავანგარდისტული მიმართულების ნიმუშიცაა. თითოეული მათგანი ძიებაა, როგორც სიტყვის ახალი ფორმისა, ასევე მისი გამოხატვის ახალი საშუალებებისა; პროტესტია სინამდვილის ასახვის ტრადიციული მეთოდებისადმი და ხშირად სინამდვილისადმიც. ტრადიციის რეალისტური პოეზია აგრძელებს, რომელიც ემყარება ძირძველ თემებსა და მხატვრული გამოსახვის საშუალებებს; თუმცა რეალიზმიც დროის შესაფერისად ახლდება და იცვლება. სიახლეთა შორის განსხვავება კი მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზმის საფუძველია დაშვებულის პრინციპი და არა გამორიცხულის. რეალიზმსაც შეუძლია ქვეცნობადის წარმოჩენა, ახლებური სტილის შექმნა, სწორხაზობრივი კომპოზიციის დარღვევა და სხვა მრავალი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფორმის თავისებურება არ გადადის მეთოდის თავისებურებაში. ამაში მდგომარეობს დაშვებულის პრინციპიც. ჩვენს მიერ მოტანილი ავანგარდისტული ფორმების ქართული შესატყვისების ნაწილი ქართველ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებიდან არის ამოღებული. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ გრიშაშვილი ან გალაკტიონი ავანგარდისტი იყო. მათ მიერ შექმნილი ორიგინალური მხატვრული ფორმა არასოდეს ხდება მათი პოეტური მეთოდის თავისებურება.

ქართულ პოეზიაში ზემოთ ჩამოთვლილი ავანგარდისტული ტრადიციები ჯერ არ დამკვიდრებულა. მხოლოდ ზოგიერთი ფორმის ტრადიციულ ლექსთან შერწყმის მაგალითები მოიპოვება, აგრეთვე ნაწილობრივ ვაკუუმური და ერთი ან ორი წინადადებით გამოხატული მინიმალისტური ლექსები. არის ტენდენცია ამაღლებული გრძნობებისა და ზოგადადამიანური თემების უარყოფის, სათქმელის უხეში გამოხატვის. რასაკვირველია, ასეთი ტიპის პოეტებშიც შეინიშნება ნიჭიერება, მაგრამ ჩვენ მათ მაინც შევაფასებდით რუსთველის სიტყვებით:

„დიდსა ვერ მოაკლდების, ხელად აქვს ხოცვა ნადირთა მცირეთა!"

ელენე კოშორიძე

# ენა მდიდარი და მშობლიური

ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ არაერთი პაპაჲ ხალხური, სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრებული, ფრაზეოლოგიზმი ქსოვილი ფრაზეობათა ნაქსოვი. ვგულისხმობთ ამგვარ გამოთქმებს: „არც ალი, არც ალქმელა...", „მთელი, ახლა და ისევე"...", „მთელი და ამ დროის ქვეშ წახარე"... „მთელი და ნუ დაუჯერებ (ტიტველს)..." „დაიწყო და რა დაიწყო"... „რა ლეგენდა, სწორედ მისი თვალი აქვს ნაღვლი"... „ქურქმე ხომ იყო და იყო"... ან კიდევ ამგვარად დაწყვილებული გამოთქმები: „მოსიაქვამცა და მოსიაქვამცა"... „ბარდინელა და ბარდინელა"... „ხევმა და ხევმა აფეთქებული შაღრეკები..."

ხშირია წყვილისა და დაღლილის ხალხში გაბატონებული ფორმულები, რომლებიც განსაკუთრებით ექსპრესიულია იმიტომ, რომ მიმართვის ობიექტი, ჩვეულებრივ, პერსონაჟისთვის წარმოდგენილი, რითაც ხაზგასმულია სიცოცხლე ან [illegible] ქვეყანაზე არსებითი ნიშანი და ხანს [illegible] რის დამოკიდებულებაც: „აი, შე **სულიცხოვლის... დამქცევო...**" „...**მიწამ კი დაგიკეტოს პირი, შე ულხინებელო...**" „**აგერ მოილახვრება პირქვესამარხავო**"... ან კიდევ: „ალი, შვილო, **თავლით შედებული**"... „აი, გაძეხ კარგი შვილო..." „წამლად დაგებნე, წამლად დაგედე"...

ანდაზებში, იდიომურ გამოთქმებსა თუ მწერლისეულ თხრობაში ხშირად გვხვდება ორწევრა სიტყვათშეხამებანი, რომლებიც მყარ შესიტყვებად აღიქმება. მათგან ერთი ნაწილი სასაუბრო მეტყველებიდან კარგად ცნობილი სიტყვათშეხამებაა. მაგალითად: **ფეხის მოხავალი** - ნაბარში მოფენილი ქერქიანი - ბოსტნეული; **ნაშხადი დედალი** - ხელით გასუქებული, დაბარდნული დედალი; **მარგინი ღამე** - [illegible], [illegible]; **კბილის დაკეტვა** - ანუ **კბილის შაკვრა** - რიგი გლეხკაცობის შიბაური საქონელი ღამე გარეთ დარჩენილა, მგელს რომ არ შეეჭამა, „მეოდან პირთან მიეთა და შეუღლულებია ხელმა, ანუ მგლის პირის შეკვრობდა. შემდეგ [illegible] ლის კბილებზე ძაფს ხვევდნენ და თან უბნობდნენ ([illegible]

ლებოდა). (ქიზიყ.). **პირის წყალი**... სიძვირი, ჰიპოთეზა: „დიდი თამარი, საქართველოს დედათა პირის წყალი". ეს გამოთქმა (პირის წყალი) ძველიდან უნდა მოდიოდეს, რადგან მისი განმარტებისას თვით სახელია „ქალისა და დამანის" ამოწმებს.

ზოგი სიტყვათშეხამება, მართალია, ხალხური მეტყველების წიაღიდან ჩანს შეთვისებული, მაგრამ ახალია. გულდასმით: **ფიცხაწყვეტილი ლარიბები** - ისეთი ლარიბები, სიცოცხლეც რომ არაფერი აქვთ; **პურის ცილა** - პურის ყიდვა, მაწყობისა. „თვალსაზრისით იყო, მასავით არავინ იცოდა პურის ცილა". **პურის მელვინე** - 1. ვისაც ღვინო უხარია. 2. ღვინის შემსმელი, ჭამაგორი. „ქართულ ხალხურ სასიტყვიერო მწერლობაში" დადასტურებულია **პურის მელვინე** და იგივე აზრისაა: „თამარ დედოფლის ძვლადი **პურის მელვინე** (ღვინო ვისაც უხარია) და იქვე:

ალუდა ალუქსაური
ზურაბი, რიგიან მოგე?
**პურის მელვინე** მოგიკლა,
თავად ცოცხალი გაგ[illegible]".

ამავე მნიშვნელობით ხმარობს გიორგი ლეონიძე: „ეჰ [illegible] **პირის მელვინე** და მხარეული". **საწუთროს ჯამი** - ქვეყნიერების მაწყობელი ჯამი, რომელშიც შეიძლება შეიცეს ცის [illegible] სამყაროს ხილვა. ეს შესიტყვება დადასტურებულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში:

„თამარის ჯამში ღვინო, შელი, ხომ [illegible] მარი ესახეა,
საწუთროს ჯამში ნაღველი, [illegible] დაუდახე,
შენ იყო მთელი ქვეყანა, [illegible] შებახე".

ეს შესიტყვება ფარნაოზ [illegible] გარკვეულებული აღმისაგე [illegible] (ცნობა მოგვაწოდა პროფ. ალ. [illegible] რისთვისაც მას ღრმა მადლობას მოვახსენებთ). ლეგენდას, მისის ეს სხვა სამყაროს განმარტებით ლექსიკონების მიხედვით, არსებობს ირანის მითოლოგიური მეფის - ჯამშიდის ჯამი, სიცოცხლის ფიალა, რომელშიც მინახს მთელი სამყაროს ავი და კარგი.

გ. ლეონიძესთან ეს შესიტყვება (საწუთროს ჯამი) ასეთ კონტექსტში გვხვდება: „როგორც გასახელებულ კაცს შეჰფერება ერთი „**საწუთროს ჯამში**" არ ნაცხელია, თორემ სხვა ყოველივე იცოდა".

სიტყვათშეხამებათა გარკვეული ნაწილი კი მწერლისეული ჩანს, ჯერჯერობით ვერსად დავადასტურეთ. მაგალითად: **ბუნება გაბატკნებულიყო** - ბუნება დამშვიდებულიყო, დაწყნარებულიყო; **ჭიანჭველების გორალა** - ჭიანჭველების გორგალი (ალბათ, უკეთესია სწორედ გორალა!), **ღვინის ნათლულები** - ღვინის მოყვარულები. **ღვინის კაპი** - მართალია, ცალ-ცალკე ორივე სიტყვის მნიშვნელობა ცნობილია, მაგრამ თვითონ შესიტყვება (ღვინის კაპი), მოულოდნელია. კაპი - ქეგლ-ის მიხედვით მოჭრილი ხის განშტოებაა, რომელსაც ქონის მასზე ამოზრდილი რქის შერჩენილი ნაწილი ან ნამთასკიდი, კაკი. აქედან გამომდინარეობს გამოთქმები: კაპიანი ჯოხი, კაპიანი ჯოხი. სიტყვა კაპს აქვს სხვა მნიშვნელობებიც, მაგრამ ისინი ვერ ხსნიან მწერლის მიერ ნახმარ კაპს, რომელიც ასეთ კონტექსტში გვხვდება: „ხელ მუდამ **ღვინის კაპი** სწყუროდა". ამ შესიტყვების (ღვინის კაპი) ახსნა შესაძლებელი გახდა ივ. ქავთარაძის „მთიული ლექსიკონის" მიხედვით. მთიულში დადასტურდა სიტყვა კაპის გადატანითი მნიშვნელობა. ეს ყოფილა „მდინარის შენაკადი რიგეზე. ძლიერ რომ მინანს: **წყლის კაპი** მაწანწკარებს". ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა დადასტურებულია რ. ქურდაძის ალ. ყაზბეგის ენაში.

ვფიქრობთ, რომ თუ შესაძლებელია **წყლის კაპის წანწკარი**, ასევე შესაძლებელი ყოფილა **ღვინის კაპი** (კასრიდან, ტიკიდან, ჭინჭილიდან...) **წანწკარით** (ან კაპკაპით) **გადმონადენი, გამონაჟური ღვინისა**, ე.ი. **ღვინის კაპი** წყლის კაპის ანალოგიით ნაწარმოები შესიტყვებაა.

მწერლისეული ჩანს აგრეთვე „**ტყვით მოვრალები**" (მრავალი ტყვით

დახოცილები):

„გაჰქრა ნინუწრმა და აალაპარაკა სამლაყში მწოლარენი - ხმლითა და ხანჯლით აჩეხილები. **„ტყვიით მოვრალები“.**

ახალი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ახალი, გაუცვეთელი სიტყვათშეხამებისა თუ ფრაზეოლოგიის ძიება გიორგი ლეონიძის ხელწერა იყო. იგი ზოგჯერ მყარ შესიტყვებასაც კი ცვლიდა ახალი, მოულოდნელი სიტყვათშეხამებით. „ნაცარის ხის“ ენაში აშკარად იგრძნობა პოეტის ასეთი სწრაფვა. მაგალითად, ნაცვლად **ბალნის ხიდი** - ნაცვლად ბეწვის ხიდისა; **ჩემს წელზე უნდა გადატყდეს** - ნაცვლად ცნობილი გამოთქმისა - ჩემს თავზე უნდა გადატყდეს. **მზე იდაღლებოდა** - ნაცვლად გამოთქმისა მზე იბინდებოდა; **სისხლმა იავდრა** - ნაცვლად გამოთქმისა - სისხლმა იწვიმა და ა.შ.

უმეტესად კი ხალხური სიტყვა-თქმანი თუ იდიომური გამოთქმები საახლით იქცევს ყურადღებას. კერძოდ: „შეირგეს წუთისოფელი ზიზაზე მუტად“... „სად დაჯდები და სად გავარდები...“ „რა იქნება დაღმით ნადმართით?“ ეს უკანასკნელი („დაღმით ნადმართით“) გიორგი ლეონიძეს უწარმოებია ცნობილი ხალხური გამოთქმის (აღმა-დაღმა და გაღმა-გამოღმა) ანალოგიით, რაც, თ. სახოკიას განმარტებით, ნიშნავს: ყველგან და ყველასთან. გ. ლეონიძისეული დაღმით-ნადმართით კი ნიშნავს ძნელბედობის ჟამს, უკან და უკან სვლისას. კონტექსტი ასეთია: „სასიკვდილოდ კიდევ თავბრუდამხვევი მიდიოდნენ, როდესაც დაშინებულები, რა იქნება დაღმით ნადმართით? ეგეი, ნეტავ უბედურობას! რა დაწვინა კიდე დაუკარგეთ“.

გიორგი ლეონიძის პროზა გამოირჩევა ინტონაციური მრავალფეროვნებით. მონოლოგური თხრობის ხშირად დიალოგიზებული მეტყველება ენაცვლება. გამოყენებულია კითხვითი, ბრძანებითი წინადადებები და ზმნის II პირის ფორმები, რაც წარმოსახვით მსმენელს გულისხმობს: „ყოველმხრივ ნეტავ თვალებზე? ყველაფერი მენატრება თვალები?“ ან: „აქეთ კი რა



ხომ გვცოდვა ეამხილებდე? რატომ დაკარგე ნეტავ ქალება ქართული სამღერი სიტყვები? მე სწორედ მათ გასაგონად ვწერ ამას“ („დედა მიწა“).

ამგვარი ფრაზები (ე.წ. მიმართვები) არა მარტო ყურადღების მისაღწევად და მკითხველთან კონტაქტის მარტივ საშუალებაა, არამედ თხრობის გამოცოცხლებისაც ემსახურება, თხრობის დინამიკურობის, რიტმის გამოხატვის საშუალებათაც არსებითი როლის თამაშობს. მისი ერთ-ერთი კომპონენტი კი გამეორებაა, რაც ასე დამახასიათებელია გიორგი ლეონიძის ენისა და სტილისათვის. მის ენაში გამეორების თითქმის ყველა შესაძლო ვარიანტია. მათ შორის ფრაზეოლოგიურიც, ხშირად ერთ პასაჟში მეორდება ფრაზა, რაც განწყობილების სტაბილურობას ემსახურება. მაგალითად: „უცხოელებ-

არის ნირიკი? ხომ გაგიგონიათ: ცელა მიწვება, მიწვება, ნირიკი მუხლ გაწვება.

ანალოგიურად აღიქმება კოსმიური ფერთა ლირიკული წარმოსახვები. მაგალითად, როდესაც ავტორი კითხულობს: „რა იქნება, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა სატრფიალოში? რატომ აღარ ვალერსებით დედას ამ სიტყვებით? რად გაუპარტახეთ?

ლეხად ვხედავდით ყოველდღეს. **მაინც არ გვეცოდა.** ვტირავდით, ვეხვეწებოდით დედას, პირს ვუკოცნიდით; **მაინც არ გვეცოდა.** ლეკით გულს ვიგრილებდით, **მაინც არ გვეცოდა“.**

ხშირად ერთი და იგივე ფრაზა (ან მიმსგავსებული ფრაზები) მეორდება აბზაცებში. ამგვარი ფრაზები სინტაქსურ პარალელიზმს ქმნიან ერთ პასაჟში, რითაც განამტკიცებენ სათქმელის აზრობრივ მთლიანობას: **„- ამოდით, ამოდით ჩემსას აივანზე, ნუ გერიდებათ!** ამოდით, ძირფასებო, თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით მომიფინეთ ყველაფერი“.

ასევე იწყება (ოღონდ განსხვავებით!) აღნიშნული პასაჟის მეორე და ბოლო აბზაცი: „- ამოდით, ამოდით, მეზობლებო, მეგობრებო! ვიცი აღარ ხართ, მაგრამ როდი წარუცხოცხართ ჩემი გულიდან, ისევ მეცნაურებით: „და ბოლოს: **„- ამოდით, ამოდით ჩემთან აივანზე, მეგობრებო,** მომიგონეთ, შემიგონეთ!“

ეს სტილისტიკური ხერხი გამოყენებულია „ნიერეხში“, „თაღრიაში“ და სხვა მოთხრობებში.

ამგვარი გამეორებანი ძირითადად ხალხური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. და არა მარტო გამეორებანი. გიორგი ლეონიძის ენის სახალხო მეტყველების იერს ანიჭებს სასაუბრო სიტყვის მასალა. უხვად გამოყენებული ანდაზები და იდიომური თუ ხალხური სიტყვა-თქმანი, ამასთან, უშუალოდ მეტაფორი და სინტაქსური ლექსიკა, ემოციურად ქართული კილოების ნასახრდები.

გიორგი ლეონიძის ლექსიკა - ფრაზეოლოგიის საგანძური, მართლაც, ხალხური მეტყველების წიაღია. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მისი ფრაზა გაჩნდა და განუმეორებელ ძველ მწერლობასთან მჭიდრო დაკავშირებულია სამწერლობო ენასთან. ასეც იყო გიორგი ლეონიძის პოეტური ენის განმსაზღვრელი. ამგვარივე მისი ენა ახლ მდიდარი, გაუცვეთელი და როგორც მთავარი, შემბლელი

გრიგოლ რობაქიძე

# გალაკტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას"*

წინ მიდევს „კრებული", წიგნი პირველი (ნიუ იორკ, 1957). გივი კობახიძის მიერ გამოცემული, მისივე რედაქციით. აქ გამოქვეყნებულია ერთი შაირი გალაკტიონისა: „ქებათა ქება ნიკორწმინდას" (მოთავსებული ყოფილა წიგნში „რჩეული", ტფილისი 1954). შაირი ათი რვასტრიქონიან სტროფისაგან შესდგება. პირველი ნახევარი თვითეული სტროფისა - გარდა პირველი სტროფისა, რომელიც შესავალია - ეხება ტაძარს - შენობას ამა-თუ-იმ მხრით. მეორე ნახევრის პირველ სამ სტრიქონში აღტაცებაა და სიტყვა (მეცხრე და მეათე სტროფში ამ ნახევრის მესამე სტრიქონი განხრილია ოდნავ). მეოთხე სტრიქონი, ბოლოკიდური, ნიკორწმინდას ახსენებს. ნათელმფენი სახელი ეშარავანდება მთელ სტროფს. აი მაგალითად, მეოთხე სტროფი:

„აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო,
სვეტი - ნიკორწმინდა!"

ხედავთ: აქაც გამოკვეთებულია განმეორება. ოღონდ იგი აქ ანაფორიზებულია: „ნეტავ ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო, რა მადლმა ააგო." ასევე აგებული მეორე სტროფი, ასევე მესამე- ასევე მერვე სტროფები: პირველი, მეხუთე მეშვიდე. მეორე ნახევრის მესამე სტრიქონის ბოლო: ზმნა აქ სხვა სიტყვაა (ვხმარობ „ზმა"-ს და არა „რითმა"-ს. აქ ვერ გავიმეორებ მას, რაც შესახებ ამისა ვთქვი ამ ჟურნალის მეორე ნომერში). მეშვიდე სტროფში სამივე სხვადასხვაა, ხოლო სამივე შეხმატკბილებული. მეცხრეში მესამე (მეორე ნახევარზეა ისევ სიტყვა) პირველ ორს არ ეზმება: იგი აქ არაა



საერთოდ ზმა. სამაგიეროდ ბოლოკიდური ეზმება პირველ ორს. ახლავე გამართული მეათე: მესამე სტრიქონის ბოლოსიტყვა - არც აქაა ზმა. განსხვავება ესაა მხოლოდ: ბოლოკიდური აქ პირველ ორს არ ეზმება. ბოლოკიდური: „ნიკორწმინდა" ეზმება: პირველ სტროფში ბოლოსიტყვას მეორე და მეოთხე სტრიქონისა (სტროფის პირველი ნახევრისა). მეორე სტროფში: ეზმებიან ბოლოსიტყვის სიტყვები პირველი, მეორე და მესამე სტრიქონისა (სტროფის მეორე ნახევრისა). თუ სად გამოდის იგი ზმად მეცხრე სტროფში, ეს უკვე აღვნიშნე. დანარჩენ სტროფებში იგი ზმად არ გამოდის. არცაა საჭირო.

ვხედავთ: სტროფების გამართვაში აქ იგივეობა არ არის დაცული. გარნა ამის გამო შაირი არას ჰკარგავს რა. პირიქით: ამით კიდევ იძენს: „ხელოვნურობა" მისი უფრო „ბუნებრივი" ხდება.

საბავშვო შაირში „მელიას ლეკვი" უნაზესი ალერსით გაჰყავს პაოლო იაშვილს განმეორება:

„ოღონდ სიცხე გამონელდეს
და ვუყიდი ცისფერ ლენტებს,
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
გავახურო დიდი ტაფა,
მოვუხდუღლო ის მურაბა"...

(ასეთი განმეორება ხალხურ შაირებში თუ გვხვდება! არ მახსოვს). გალაკტიონის შაირში განმეორება სხვანაირია: რადგან აქ საგანი სხვაა ვიდრე საგანი პაოლოს შაირში. ერთი კიდევ: ტაძრის ერთიმეორეზე მიყოლება გალაკტიონის შაირში არ გავს არც შავთელურს და არც ჩახრუხაულს. იგი გალაკტიონურია და: ამ სახელით შევა ქართულ პოეზიაში. მოვისმინოთ კიდევ ერთი სტროფი, მეცხრე:

„ხვეული დიადემა
ვხედავ - რა უხვია.
დროშ მას დიადემა
კრძალვით შეუხვია.
ნეტავ ვინ მოაქარგა,
და როცა მოაქარგა,
შიგ მოაკარგ-მოაკარგა
გზნება- ნიკორწმინდა!"

ძნელია ამ შაირის ხმამოკლებლივ წაკითხვა. წარმოთქმას მოითხოვს. იწყებ წარმოთქმას: მიჰყვები ზეაწყობილი რიტმულ დენას მისა, რომელსაც თანდათან მეტი და მეტი ძალი ეძლევა. მიჰყვები ტანის რხევით და ისე: თითქო რიტმულურ

* წერილი უმნიშვნელო შემოკლებით გადმობეჭდილია კრებულიდან: გ. რობაქიძე, ჩემთვის სამარადისოდ ყველაფერია..., თბ., 1996 წ.



როკვაში გადადიოდე.

საკვირველია ეს შაირი. გვეთქვა მაგალითად ვინმე რომელიმე ტურფაზე: ჰოო, რა ლამაზია! ჰოო, რა მხიბლავია! თქმა ცარიელ რეტორიკად რჩება. რჩება ისე, რადგან კონკრეტული-განსახება აკლია. ავიღოთ ახლა რომელიმე ხოტბითი სტილი „ნიკორწმინდასი". თუ გინდ ეს:

„ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!"

განა ესეც ცარიელი რეტორიკა არაა? თავის თავად - უთუოდ, ხოლო შაირში მოქცეული - არა. აქაა ამ შაირის საიდუმლოება. რით ავხსნათ ეს?

ჰიმნი მიმართულია შენობისადმი ტაძრისა. შეიძლება თუ არა ჰიმნით მივმართოთ რაიმე სხვა შენობას, არა ტაძრის შენობას: მაგალითად: შენობას თეატრისა, ან მუზეუმისა, ან კლუბისა, ან უნივერსიტეტისა? (ხაზს ვუსვამ „ჰიმნით") არა მგონია: სასაცილო იქნება პირდაპირ. მაგალითად რომელიმე კლუბის შენობის მიმართ რომ გვეთქვა: „ნეტა ვინ ააგო/რა ნიჭმა ააგო / რა მადლმა ააგო!" ტაძარი კი სრულიად სხვაგვარი შენობაა: იგი საუკუნოა მარადის, უზენაესის: „საკუთარი" მისი და ჰიმნი მის მიმართ არა თუ მართებულია მარტო, ეს ერთი მხარე, ახლა მეორე. „ნიკორწმინდაში" არაა ხსენება: არც ხატის, არც ჯვარის, არც წირვის, არც ლოცვის - გარნა ყოველი ეს გულვებულია მასში: ხატიც, ჯვარიც, წირვაც, ლოცვაც (ურწმუნონიც დამეთანხმებიან, რომ ამ შაირის შექმნა შეეძლო მხოლოდ ღრმად მორწმუნეს). არათქმული აქ გულისთქმაა უსიტყვო, რომელიც შაირის გაშლისას ატმოსფეროდ იფინება.: იფინება ხსენებით ნიკორწმინდისა. გულვებულს მგოსანი შენობაში ხედავს: ვითარ ტანქმნილს. ხედავს და: იხიბლება მით. მოდის აღტაცებაში და: ხოტბით ეფრქვევა მას. ხოტბა აქ უშუალოდ აღმომხდარი ზახილია: ექსტატიური. კონკრეტ-სახვა მას კიდეც დაამძიმებდა. სიტყვას სიტყვა მისდევს. თქმა თქმას: ანაირნაირებული განმეორებით, მოჰქროლავს „გალაკტიონურ".

მოვისმინოთ ესეც, სტროფი მეცხრე:

„მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდას!"

ხოტბა აღფრთოვანებული ფრთებად ესხმის ტაძარს.

შაირი მამულიშვილური გახარებით თავდება: ბრწყინავს საქართველოს ქებად ნიკორწმინდა.

დიდი ოსტატობით არიან ამ შაირში შერწყმულნი შინაარსი და ფორმა ერთიმეორესთან. ორიოდე სიტყვა ფორმა შინაარსის ურთიერთობაზე საერთოდ.

ვთქვათ, ჩვენ წინ დევს ნაჭერი რომელიმე ხისა, ნაჭერი გახერხილი. ხერხილის გნდევზე ვხედავთ: თუ როგორ ერგოლება ცილი ცილს. რა არის აქ შინაარსი და რა ფორმა? შინაარსი აქ იმდენადაა შინაარსი, რამდენადაც იგი გამოხატულია ფორმაში და ფორმა იმდენად ფორმა რამდენად იგი გამოხატულებაა შინაარსისა. ეს ფორმულა გულისხმობს: 1. რომ აქ ზღვარის გავლება ფორმისა და შინაარსის შუა ძნელია. 2. რომ აქ არ შეიძლება ითქვას: ჯერ შინაარსი და მერმე ფორმა, ან ჯერ ფორმა და მერმე შინაარსი - ორივენი ერთთავად არიან მოცემულნი. 3. შინაარსისათვის აქ სხვა ფორმა წარმოუდგენელია და ფორმისათვის სხვა შინაარსი.

დაახლოებით ასე უნდა იყოს გაშლილი ხელოვნური ნაქმი. მხოლოდ ერთი რამ მოითხოვს აქ განმარტებას. სახელდობრ: მესამე მუხლის პირველი ნახევარი: „შინაარსისათვის აქ სხვა ფორმა წარმოუდგენელია". შეცვლა განა არ შეიძლება. მაგალითად, ერთი-და-იგივე ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანადაც გაიშალოს და დრამადაც? შეიძლება. მაგრამ გაშლამდე „მასალა" იქნება იგი და არა „შიგთავსი": CONTENU (აქ ეს სიტყვა უფრო მიხვედრილია ვიდრე „შინაარსი". ნახმარია ივ. მაჭავარიანისა და ის. გვარჯალაძის მიერ შედგენილ ფრანგულ-ქართულ სიტყვარში. სხვაგან არ შემხვედრია). „მასალა" და „შიგთავსი". ნათელ-ფერთ ეს დაპირისპირება. ბუნება ისეა შექმნილი, რომ იგი თვითქმნილად გვევლინება. მასში ყოვლადვე თავისთავისაგან ვლინდება „მასალა" აქ „შიგთავსია" თავითვე. ხელოვნებაში ეს ასე არაა. აქ ერთი-რამე სხვა-რამედ იქმნის: „ერთი-რამე" მასალა -" სხვა-რამე" შიგთავსი. რაც ბუნებისათვის მასალაა და შიგთავსი ერთდროულად. მაგალითად ქვა - იგი ხელოვანისათვის მხოლოდ მასალაა. მაგალითად იგივე ქვა (მოქანდაკისათვის). ამრიგად, როცა ვამბობთ, ერთი-და-იგივე ამბავი რომანადაც შეიძლება გაიშალოს და დრამადაც - უნდა დავუმატოთ, რომ აქ „ამბავი" მასალა იქნება და „რომანი" და „დრამა" კი სხვადასხვა შიგთავსი. უკანასკნელზე იგივე ითქმის, რაც ითქვა „შინაარსზე" (ხელოვნების გაგებისათვის აქ ნათქვამი გადამწყვეტია).

„ნიკორწმინდა" სრულყოფილი შაირია, რადგან მასში: ძნელია ფორმისა და შინაარსის შუა ზღვარის გავლება (ამ მხრით იგი მუსიკას უახლოვდება). შინაარსი და ფორმა ერთდროულად არიან მოცემულნი. შინაარსისათვის აქ სხვა ფორმას ვერ წარმოიდგენთ. ფორმისათვის- სხვა შინაარსს? აქ უნდა შევჩერდეთ. ამ პაზით ჩვენ შევიძლია სხვა რომელიმე ტაძარსაც მივმართოთ, მაგალითად, ტაძარს გელათისა. მაშასადამე, აქ ფორმისათვის შესაძლებელი ყოფილა სხვა შინაარსი! პასუხი: გელათი არაა ნიკორწმინდის მიმართ არსებითად „სხვა": იგი, ასე ვთქვათ, დაა მისი: შინაგან, დანიშნულებით, იგივე და გარეგან, აგებულობით, იმგვარი.

ზემოთხაზული ფორმულა შინაარსისა და ფორმის ერთიერთობისა საჭიროა გატარებულ იქნას ერთს უაღრესად საყურადღებო განზომაში. ავიღოთ მაგალითისათვის აკაკის „განა, ქვეყნის სამოთხე" და „ნესტორ ესებუას ჩიტილი კულაგლდანელთან" (სათაური ზუსტად აღარ მახსოვს). შინაარსისა და ფორმის შერწყმულობა ორივე შაირში თანაბარი სისრულითაა გაყვანილი- გარნა ჩვენ მაინც პირველს ვაკუთვნებთ უპირატესობას. რატომ? ცხადია, იმიტომ, რომ „განა" შინაარსით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე „ჩიტილი". თანაც ესეც უნდა ითქვას" რომ ისეთს შაირში, როგორიცაა „ჩიტილი", შინაარსის გამოსხმულობის მოზომვა უფრო იოლია.



ვიდრე ისეთში, როგორიცაა „განა" იოლია და: რაც იოლია, ვიცით, იაფია. ხოლო ამ განზომაში ერთი პატარა მაგრამ გადამწყვეტი დეტალი არ უნდა გამოეპაროს ჩვენს თვალგავლებას. აქ: არა განვრცობილი შინაარსი ეპირისპირება განვრცობილ შინაარსს. არამედ ფორმაში გამოსხმული ფორმაში გამოსხმულს. „ჩიტილის" შინაარსი რომ უფრო უკეთ იყოს გამოსხმული ვიდრე შინაარსი „განა"-სი, მაშინ უკანასკნელს როგორც შაირს „განობა" ვერ უშველიდა: იგი „ჩიტილს" არა თუ ვერ დაჩრდილავდა, მას ვერც კი გაუტოლდებოდა.

ასეთია ჩემი გაგება შინაარსის და ფორმის ერთიერთობისა, რომლის მიხედვით დაუსრულებელი დავა ფორმალისტებისა და ანტიფორმალისტების ერთიმეორესთან უნაყოფოდ გამოდის, მეტი რომ არა ვთქვათ.

რამდენად ჰარმონიულ გაყვანილია შინაარსისა და ფორმის შერწყმულობა ხელოვნურ ნაქმში, იმდენად პლასტიურია უკანასკნელი. პლასტიურობა კი სათავეა რიტმულობისა. სრულყოფილი შერწყმულობა შინაარსფორმისა „ნიკორწმინდაში" ჰქმნის მისს ზედმიწევნილ პლასტიურ სხმულობას და უკანასკნელი საკვირველ რიტმულ დენას მისსა. ვთქვი და ვიმეორებ: ძნელია „ნიკორწმინდის" ხმამოუღებლივ წაკითხვა . წარმოთქმას მოითხოვს. იწყებ წარმოთქმას: მიჰყვები ზეაყვანილი რიტმულ დენას, რომელსაც თანდათან მეტი და მეტი ქანი ეძლევა. მიჰყვები ტანის რხევით და ისე: თითქო რიტუალურ როკვაში გადადიოდე. შედევრია ეს შაირი, ნამდვილი შედევრი. სხვა რომ არაფერი შეექმნა გალაკტიონს, ეს შაირიც საკმაო იქნებოდა, რომ იგი შესულიყო ქართულ პოეზიაში როგორც დიდი ოსტატი.

**ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა. ბევრიც ითქმება და დაიწერება. სხვა ფასი აქვს მის თანამედროვეთა მოგონებებს. რამდენიმე კრებული გამოიცა. დღის სინათლესაც ბევრი ელოდება.**

**ცნობილი მოღვაწის, აკაკი ფალავას, ეს „შთაბეჭდილებანი“ მოგვაწოდა აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალების მომძიებელმა, დოცენტმა შოთა ბარამიძემ.**

## აკაკი ფალავა

# შთაბეჭდილებანი

## (ქუთაისიდან საჩხერემდე)

ერთხელ განსვენებული აკაკი დამეკითხა:

- სად უფრო გემარჯვება წერა, სოფელში თუ ქუთაისში?

- წარმოიდგინეთ, ბატონო, ყველა ჩემი მოთხრობა ქუთაისში მაქვს დაწერილი,- ვუპასუხე მე.

- საკვირველია, სთქვა მან: არც თფილისში, არც ქუთაისში შესანიშნავი არაფერი დამიწერია; ყველაფერი საჩხერეში მაქვს დაწერილი,- მითხრა მგოსანმა.[1]

საჩხერეს ამის შემდეგ ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა.

როდესაც აკაკი ავად გახდა, მინდოდა მენახა, მაგრამ ვერ მოვახერხე... ახლა კი საჩხერე, როგორც მთელი საქართველოსათვის, ჩემთვისაც იმ ჯადოსნურ ადგილად შეიქნა, სადაც მიილტვოდა ჩემი ოცნება, გული.

შაბათ დილას, მოვახერხე, მუხლი მომეყარა დიდებული ცხედრის წინაშე.

ქუთაისიდან მარტო გავემგზავრე... გზაზე შემხვდა სოხუმიდან მომავალი დეპუტაცია ნიკო თავდგირიძის მეთაურობით. სწორედ ორი საათი იქნებოდა, როდესაც საჩხერის სადგურამდე მივაღწიეთ. სადგურის წინ ეტლითა და ცხენებით დაგვიხვდნენ თ. წერეთლები.

სოხუმის დეპუტაციას მოჰქონდა მშვენიერი თის ჯვარი და ცოცხალი ყვავილების გვირგვინი. როდესაც გვირგვინს ხსნიდნენ, ბევრი ცნობისმოყვარე ჩვენს გარშემო შეგროვდა.

ეტლში ჩავსხედით და გავემართეთ. მთებს შორის მოთავსებულია საჩხერე. ლამაზია ეს სოფელი, ლამაზი მაშინაც კი, როდესაც მის პატარა გორაკებს თოვლის ზეწარი აქვს გადაფარებული... მშვენიერი სურათების ხილვით თანდათან მემატებოდა შთაბეჭდილება.

მხოლოდ ჩემმა თანამგზავრმა ძუკე ლოლუამ უსიამოვნოდ მითხრა:

კარგი ძარღვები ჰქონია განსვენებულს, რომ ამ გზით დადიოდა და კიდევ 75 წელი გაუძლოო.

ქვიანი, ვიწრო და აღმართდაღმართიანი გზა მიდის საჩხერემდე.

ქება და დიდება საჩხერეს, რომ ასეთი შვილი აჩუქა საქართველოს, მაგრამ ნუ დავუკარგავთ სახელს იმ პატარა კუთხეს, რომელსაც ძუძუ უწოვებია მგოსნისათვის.

და ეს პატარა კუთხე არის სხვიტორი, და საჩხერის ის პატარა უბანი, სადაც პირველად გაახილა თავისი ლამაზი თვალები ხალხის გულის მესაიდუმლემ.

თვით სხვიტორს რაღაც უცნაური მოხაზულობა აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ დიდი სასახლე, რომლის წინაც, აივნის კიბის ორთავე მხარეს, ორი ქვის უზარმაზარი ლომის გამოსახულება ამშვენებს.

სწორედ ასეთია სხვიტორი, ოღონდ ლომის ადგილას მარჯვნივ ასვენია საჩხერის ქედმაღი გორაკი და მარცხნივ ჩიხის მთა; შუაში ფართო ადგილზე დგას ორსართულიანი ქვის სახლი.

ნუთუ ამ სახლში ასვენია ჩვენი აკაკი?!

ნელა მივდივარ. გული მაგრად მიცემს... თვალები ხარბად ეტანება ყველაფერს... პატარა გზით ეზოს მივაღწიეთ. სახლს მოვუარეთ და პატარა მისადები ოთახიდან დიდ დარბაზში შევედით...

პანაშვიდი იწყებოდა. ჩვენ გველოდებოდნენ. ცოტა წავიწიე და დავინახე აკაკი! ოო, ნეტამც არ მენახა! მშვენიერ კუბოში მშვიდად წევს იგი... ხელი გულზე დაუკრეფია... სახე.. სახე ისეთი რიდი აქვს, როგორიც მე წარმოდგენილი მქონდა... გამომეტყველება სწორედ, რომ საშინელია. მას აკრავს თეთრი, მოყვითალო ბინდგადაკრული ფერი; თითქოს შეგონებული და შიშისფერი შეპყრია.

ნუთუ შენ, კაკო, ფულ-ფულადო მგოსანო, რომელიც ყველას იმედს და მხნეობას ჩასჩურჩულებდი, შენ თვითონ დაფრთხი სიკვდილის წინაშე? სიკვდილი ხომ შენთვის არ არსებობს! რადგანაც შენ ცოცხალი ხარ თვით ხალხის გულში!

- რატომ არის აგრე თეთრი მისი სახე? - შევეკითხე ერთს ჩემთან მდგომს.

- მშვენიერი სახე ჰქონდა, გეგონებოდა სძინავსო, მაგრამ ბალზამი გაუკეთეს და ამის შემდეგ სახე მთლად გამოეცვალაო,- მომიგო მან!

კუბო დაბლა დგას, სანთლები მკრთალ სხივებს აბნევენ. კუბოს წინ ყვავილები აბნევია... მგოსნის გულზე მინდვრის ყვავილების პატარა უბრალო კონა აწევს: კარგია, საუცხოვოა!

ოთახში ბევრი მლოცველები არის. კუბოს თავთან შავით მოსილი მგოსნის და ქნეინა ანა ცრემლებს ძლივს იკავებს; მის გვერდით დგას ქნეინა ანეტა დადეშქელიანისა, განით მგოსნის შვილი, პ. წერეთელი, სიმონ წერეთელი (ყოფილი მარშალი).

მლოცველთა შორის შევნიშნე ქნეინა ანასტასია მაჩაბლისა (მეუღლე

დაუვიწყარი ვანოსი).

გათავდა გულის გამგმირავი „სულთათანა", ხალხი დაიშალა.

მინდა ვნახო კოტე კოტე აბდუშელიშვილი, მგოსნის მოურავი და მეგობარიც. კოტე დაღლილია, მაგრამ ილაჯს მაინც არ იწყვეტს. მივდივართ იმ პატარა ოთახში,სადაც მგოსანი დაიბადა, სწერდა, დაავადდა და გარდაიცვალა.

აი ის, ქართველებისათვის ამიერიდან დაუვიწყარი პატარა სამოთხე, რას უამბობ?

დიდი სამლოცველო ხელოვნებისა და პოეზიისა.

21.684

ოთახის შუაგულ დგას რკინის საწოლი, რომელზეც მიიცვალა მგოსანი. აღმოსავლეთით აივნიდან შემოსასვლელი კარია, სამხრეთით პატარა სარკმელი, კუთხეში მიკუთებულია სახატეწინათ, აქ იდგა მისი საწოლი „ხატებს მიაპყრო თავი, აწ არაფერი მიშავს, ამ ოქმის დათავებას მოვასწრებო"... ხშირად იტყოდა თურმე ავადმყოფი.

ჩრდილოეთით კედია „სვეტიცხოვლის ხატი" და დასავლეთით გაკეთებულია დიდი ბუხარი. ამ ბუხრის ორ ადგილას, მარჯვნივ და მარცხნივ, ქვითკირში ჩასმულია სურათივით ორი ფინჯანი. მარჯვნივ მყოფ ფინჯანს უბრალო ხაზები აქვს. მხოლოდ მარცხნივ მყოფზე დახატულია გაშლილი კარტები. ერთხელ თურმე განხეკრებულმა ჰკითხა აბდუშელიშვილს:

იცი კოტე, რატომ მიყვარს კარტის თამაში?

- არა, ბატონო, - მიუგო მან.

- როდესაც ცხონებული დედაჩემი ჰპატარძლე ხელზე ორსული ყოფილა, ამ ბუხართან უჯდარდა ყოფნა და ხშირად ამ ფინჯანს უყურებდაო... ოხუნჯობა! რამდენი ერთი ვიცი აკაკის ოხუნჯობა, მაგრამ ეს სხვა დროისათვის.

- კიდევ მითხარი კოტე, ამ ოთახის შესახებ აკაკის აზრი!

- აი, რას ამბობდა ამ ფინჯნის შესახებ, რომელიც მისი საწოლის ახლის იმყოფებოდა.

-არა, - მომიგო კოტემ.

- მისი უკანასკნელი პოემის დაწერა როგორ მოხდა?

- ერთ დღეს მითხრა: „ისეთი დიდი ამბავი ხდება, ამაზე რომ არაფერი ვთქვა, სირცხვილიაო". აიღო კალამი და წერა დაიწყო, მაგრამ ვერ გავბედეთ მისი წერის საიდუმლოებას.



- რატომ?- დავეკითხე აჟიტირებული ხმით.

კოტე ჯუჯმანობს:

- ისე, მე თვითონ მინდოდა ამეწერა..., - მაგრამ, ხელა, აი ჩემი მოთმინება, ტიკტიკით, რომელიც საზოგადოდ ჟურნალისტის იარაღია, კოტე აუღალაკ:

- როდესაც აკაკი წერის გუნებაზე დადგებოდა, მისი სახე უცნაურ გამომეტყველებას ღებულობდა, თავზე თმები ყალყზე დაუდგებოდა... თვალები გაუსხივოსნდებოდა... ტუჩები აუმუშავდებოდა, აღელვებული დადიოდა ოთახში და ბოლოს, როცა დაწყნარდებოდა, კალამს ხელში აიღებდა და სწერდა თავისუფლად, ძალდაუტანებლად. ამ დროს მთელ სახლს ალი რომ მოკიდებოდა, მისი ოთახის კარები რომ შეგემტვრიათ, ხმას არავის გასცემდა. დასწერდა რამეს და შემდეგ დიდხანს ისვენებდა.

- მისი უკანასკნელი წუთები?

- წინა დღეებში ღელავდა, მაგრამ სიკვდილის დღეს კარგ გუნებაზე იყო და ჩვენ ძალიან გვიხაროდა.

კიდევ ბევრი მინდოდა მეკითხა კოტესთვის, მაგრამ კოტე ამ სახლში ყველაფერია, იხმეს და მოშორდა.

მივედი წიგნის შკაფთან, დავკარი თითი და ამოვიღე „ჟიზნეოპისანიე ველიკი ლიუდეი" პლუტარხისა.

რატომ მაინცდამაინც რუსული წიგნი?.. კიდევ ვსინჯე - „ქართული მართლწერა" - მოსე ჯანაშვილისა, ერთხელ კიდევ - „ჩემი თავგადასავალი" და შემდეგ დაუსრულებელი რიგი ქართული წიგნებისა.

- მობრძანდით, შესანდობელი მიირთვით,- მიგვიწვია მგოსნის შვილმა.

სასადილო ოთახისაკენ გავემართეთ.

სადილობის დროს საუბარი საჩხერის გლეხების გარშემო ტრიალებდა...

თურმე ვერცა სივრცე და ვერცა განი ქვეყნის ვერ შეაერთებს სვეტიცხოვლად, ქართველი ხალხო, და შენც თამამად, გაბედულად გაიარე შენს კურთხეულ გზაზე.

1. ამ საუბრის მოწმეა ხტ. კამპანიონი, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი.

# ქართული ენის სიწმინდეს არას დაგიდევენ

ქეგლში დახდევს ზმნის მეორე მნიშვნელობა ასეა ახსნილი: „გადატ.: ენაღვლება, დაეძებს, ეძარდება, ფიქრი აქვს (რისამე). თუ თვალით ვერ დაინახო, ყურით გაგონილს ნუ დახდევ (ანდაზა). ვინ დახდევს ბებრის ქორწილში კუდსა და ქვრის ლაგამსა (ხალხ.). იქვეა იდიომები: **„არ (არას) დახდევს, რას დახდევს** არ (არაფერი) ენაღვლება, არაფრად აგდებს, არ დაეძებს, რას დაეძებს, რა ენაღვლება. [მინდია] არას დახდევდა სიკვდილსა, ოღონდც არ შერცხვეს ჯარია (ვაჟა). „რას დავხდევ, ვინც რა უნდა სთქვას?" (აკაკი). ამათ შეიძლება დავუმატოთ: ვარ ჭირნახახი შენზედა, თორემ რას დავხდევ? („ვეფხისტყაოსანი" 121, 7.2); სუყველა გარდადევნულარას დახდევს („ვეფხისტყაოსანი", 207, 189, 4 რაც უნდა წახდეს, გაკვდეს, მე მას აღარას დავხდევ (იქვე, 100, 522, 4); აღარ დავდევ, წამოვხტი, წამოვედ გაჩქარებული (იქვე, 93, 469, 3).

**დაგიდევს** ფორმა კი ქეგლში ასეა განმარტებული: „(მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრძ. პირნაკლი, იხ. ქვევის მეორე პირის ფორმა დახდევს ზმნისა. **არ (აღარ, არას, არაფერს) დაგიდევს**. არ (აღარ) ეძარდება, არაფერი ენაღვლება, არაფრად აგდებს. [გიორგი] დიდ მოგებას არ დაგიდევდა, დარდიმანდულად ფანტავდა (ვ. ბარნ.). ქმრისად სახელის მქონელი სხვას არ დაგიდევს არასა (ვაჟა.). **რას დაგიდევს** რას დაეძებს, რა ენაღვლება (შენი). „ცოლშვილს რას დაგიდევენ! ისინიც სადმე მეზობლისას შეეფარებიან თავს" (აკაკი)"

აქვე შეიძლება დავუმატოთ: **არას დაგიდევს** უკმეხული, ამხანაგ წყალსა ნაჭრიდეს, ლუკისა უყვარს მარჯვენა. რი საშინლად მაჭრიდეს (ხალხ.) და მრავალი სხვაც. მაგრამ ეს ვიკმარით.

მაგრამ ქართულში გვაქვს აგრეთვე კონტამინური შესიტყვებები: **არაფრად აგდებს (...ჩააგდებს), არაფრად (არად) მიაჩნია,** რომელთა მნიშვნელობაც ეს არის: „ანგარიშს არ უწევს, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. გოგლიას იმათთვის უნდა დაემტკიცებინა: თქვენ რომ არაფრად მაგდებთ, მე ლირიური ვიქკაცი ვარო (თ. რაზიკ.); არად მიაჩნიათ უბედურება, თუ აქათ ქვრივქვრივ თავისუფლება (ნ. ბარათ.). (ქეგლ). თანამედროვე პრესაშიაც არაიშვიათად შეგხვდებათ ეს იდიომები: „იშვიათია ადამიანი, ვინც ასე არად აგდებდეს ასაკობრივ სხვაობას" („ლიტ. საქ."); „აი, ეს უკანასკნელნი, რომელნიც ქვეყნის და ხალხის ინტერესებს არად აგდებენ" („საქართველოს სამრეკლო"). ეს იდიომები კონტექსტუალურად გადმოსცემენ უფრო ძლიერი წინადადებების შინაარსს, ვთქვათ, ასეთისას: „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა-ქალამნადო", რომელიც თვითონ ანდაზაც არის და იდიომატური შესიტყვებაც.

ზოგიერთი მწერალ-მთარგმნელისტები ერთმანეთში ურევს ზემომოყვანილ მოცემითსიტყვებს (**არას დაგიდევს**) და ვითარებითობერივ (**არად აგდებს**) იდიომებს და ასეთ აუცილებელს გვთავაზობს: „დღეს კი, რამდენიც გინდა ილაპარაკე, სახელმწიფო მოხელე არად დაგიდევს, თუ მის ინტერესს არ ეხება". „უმიშროების ნირვანას მიცემული, არად დაგიდევს, რა ხდება ქვეყნად" „ქართული კაცი... ერის, სახელმწიფოს ინტერესებს არად დაგიდევთ" „რუსეთი არად დაგიდევს სუვერენული საქართველოს ხელისუფალს" „(სტალინი) არად დაგიდევდათ, რას იფიქრებდნენ, თუ რას იტყოდნენ შენძლევიძ ამის თაობაზე". „...ქრისტიანები, როგორც მოსწონთ, ისე იქცევიან და არად დაგიდევენ იმ საზოგადოების კანონებს, სადაც ცხოვრობენ". „აქა-იქ კვლავ გვხვდებიან ისეთები, აღარაფრად რომ არ დაგიდევენ რესპუბლიკისა და ხალხის ღირსებას". „...თუმცა თავად ახლან ამაზეც ამას მაინცდამაინც არაფრად დაგიდევს".

სასაცილო თუ სატირალი ის არის, რომ ეს ავტორები ერთმანეთს ასწორებენ სწორმეტყველებას: „თუმცა ქართულს „ელია" კი არა, ალიასეული რეიტინგით მეორე ადგილზე მყოფი „რეზონანსიც" კი არაფრად დაგიდევთ". „დიდი იდეასი არ იყოს, დღეს მართლაც „ასეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ". სამწუხაროდ, ნუნი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არად დაგიდევენ დიდი წინაპრების შეგონებებს"... ამაზე ზედგამოჭრილი ხუმრობელი ანდაზა: „- ეშმაკავ ეშმას უთხრავ: „-კოჭაკურდმარითო!" „-რაად მითხარიე?" - წინ დამასწრობდიე"...

ქართული ხალხური სიტყვიერება, არსებითად, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხისაგან არის შექმნილი. იქ ასეთ ენობრივ შეცდომებს ვერ იპოვით და, თუ სადმე აღმოაჩენთ, დამიწერეთ, ისიც უწიგნური „მწიგნობარის" ნახელავი იქნება. საწუხ არის ესე!

**ალექსი ჭინჭარაული**




## ახალი წიგნები

**„დროის მკვლელები" თამაზ ხმალაძის პირველი რომანია. გამომცემლობა „მერანი"**

**„მაგნოლიის ყვავილი ანუ ბებია ანას გარდაცვალება" ჯემალ ქარჩხაძის ბოლო მოთხრობაა... გამომცემლობა „დიოგენე"**



# თავისუფლება პირობითი ცნებაა

## ინტერვიუ მწერალ ლადო მრელაშვილთან

**- როგორ ფიქრობთ, რა ეშველება დღეს ქართულ ენას, როდესაც მხატვრულ ლიტერატურას უსახსროდ დარჩენილი მწერლობა თავის დროზე ვერა სცემს წიგნად? მისი ნამდვილი მკითხველი კი, ასევე უსახსრო, წიგნს ვეღარ იძენს?**

- ქართული?... არაქართული?... საკითხავი აი, ეს არის!... მართლაც რა უნდა ქნას მკითხველმა უწიგნოდ, ხოლო მწერალმა უმკითხველოდ? ვფიქრობ: თუ თავად მთავრობამ არ აიღო ეს საქმე თავის თავზე, დღევანდელი უცხო სიტყვებისა თუ რუსული კალკების მოძალებით, დიდი სისწრაფით წარეცხება ენა და მალე, ალბათ, ბაბილონის გოდოლად იქცევა. უპირველესად ამაზე პარლამენტმა, პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ და სკოლამ უნდა იზრუნოს.

**- პირველ რიგში ენას სწორედ ესენი ამახინჯებენ. ეს იმას დაემგვანება, ბრაკონიერი ნაკრძალის მცველად დანიშნო.**

- ეს უკვე სიმართლეზე არანაკლებია. ამასწინათ პარლამენტის სხდომას ვუსმენდი. ასეთ ფრაზას მოვკარი ყური: „მე გავაკეთე განმარტებები..." განმარტებებს არ აკეთებენ, - არამედ პირდაპირ განმარტავენ რომელიმე განსამარტავს. მაშასადამე: მე განვმარტე!... ათი წელია პარლამენტი გვაქვს და უკვე დროა, იქ მსხდომებმა იცოდნენ ქართული და ქართული ზმნის ბუნება. „განცხადება გავაკეთე", „სუფრა გააკეთა", „ქორწილი თუ ქელეხი გააკეთა", „საჩუქარი გაუკეთა", და უამრავი სხვა ამისთანა. ყოვლისმომცველი „გააკეთა" და „გავაკეთე" რუსულიდან ქართული ენის არმცოდნეთაგან შემოვიდა და ქართულისთვის სრულიად უცხოა. მშობლიური ენის, სახელმწიფო ენის არცოდნა, მიუხედავად თავისი „იმუნიტეტისა", თვით რიგით პარლამენტარსაც არ ეპატიება. უნდა ითქვას: მე განვმარტე, მე განვაცხადე, მე ვაჩუქე, ვუსაჩუქრე, სუფრა გაშალა, გააწყო და სხვა ამისთანები. ქართული ენა საოცრად მდიდარია სინონიმებით, ოღონდ მათი მოხმარების ცოდნაა საჭირო „გავაკეთეს" ადგილას. ან ეს რა არის? - „სახეზე გვაქვს ორმოცდაათი ტონა ფქვილი". ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ამის მთქმელი პარლამენტარი, რომელსაც ორმოცდაათს ტონას ვინ ჩივის, სახეზე თუნდაც ერთი მუჭა ფქვილი რომ ექნება?! შვიდი თუ რვა წლის წინ მსახიობი და მწერალი, გურამ პეტრიაშვილი ქართული ენის დასაცავად ტელევიზიით გამოვიდა და ჩვენი დიდებული მუსიკოსი ლიანა ისაკაძე ენის სიწმინდის შელახვაში დაადანაშაულა. შარად მისცა: „ჩვენი ორკესტრი „ხრამში" უკრავდა". ღმერთო, რუსული. გნებავთ თავს დავდებ, რომ ამ კაცს სულ არ უფიქრია ქალბატონ ლიანასთვის რამე შეურაცხყოფის მიყენება. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ თვით ასეთ დიდ შემოქმედსაც არ ეპატიება ენის წარყვნა უცხო სიტყვებით. მართლაც ძალიან უხერხული გამონათქვამია „ხრამში" დაკვრა". ხრამში დროდადრო მხოლოდ ტურები მართავენ ხოლმე თავიანთ „კონცერტებს"... შესანიშნავმა მსახიობმა და ფრიად ნიჭიერმა კაცმა - კოტე მახარაძემ ქალბატონ ლიანა ისაკაძის დასაცავად პეტრიაშვილს უთხრა: როგორ გაბედე მისი დადანაშაულება? ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა,- ერთხელ დააშავა; ხოლო ვინც დაშვებულ შეცდომას იცავს,- ორმაგად აშავებს. პეტრიაშვილმა მწერლობასა და სამსახიობო სარბიელზე ბევრი ვერაფერი გააკეთა, მაგრამ მშობლიური ენის დაცვა მარტო მისი კი არა, ყოველი ჩვენთაგანის ვალია. რა მნიშვნელობა აქვს ვინ იტყვის ამას,- პეტრიაშვილი თუ პაპლიაშვილი? მთავარი ის კი არ არის, ვინ ამბობს, არამედ ის,- რას ამბობს იგი! ყოველ ქართველს ეამაყება ლიანა ისაკაძე. მე იგი პირველად მოსკოვში ვნახე ამ ორმოციოდე წლის წინ, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავის იუბილეზე, როდესაც ცამეტ-თოთხმეტი წლის მშვენიერმა გოგონამ ბრწყინვალედ შეასრულა სენსანსის ეტიუდი ვიოლინოზე. ჩემთან ერთად მყოფი აზერბაიჯანელი პოეტი ვილაიათ რუსტამოვი გადაირია. წავაქეზე, ლექსი მიუძღვნა ლიანასთვის. დავაწერინე, მერე ვთარგმნე ქართულად და „ლიტერატურულ საქართველოში" დავბეჭდე კიდეც. მაგრამ... „ხრამში" დაკვრას" ვერც მე ვაპატიებდი...

**- როგორ ფიქრობთ, მწერალთა კავშირი ასე რომ დაფაცურდა „60 წუთის" გადაცემაზე, განა დრო არ არის კვლავ დაიწყოს „ლაშქრობა" ქართული ენის სიწმინდის დასაცავად?**

- ვფიქრობ, ჯერ ყრილობისთვის ემზადება. მერე, ალბათ, ენის სიწმინდესაც გამოიდებს თავს. აი, მაშინ კი ვერც ტელეჟურნალისტები გადარჩებიან „შეურისხავად".

*ფრაგმენტი ლიტერატურული საქართველო, 5-11 მაისი, 2000 წ.*

## ოტია იოსელიანი

# კატასტროფის წინაშე

ჩვენი ენა კატასტროფის წინაშე დგას, ეს ენა არაა, რასაც ახლა ჩვენ ვბუტბუტებთ? ენა ურთულესი რამაა, თუ ძირამდე არ იცი, არც აზროვნება არ იცი, ენა აზროვნების გამოხატვის საშუალებაა. ამიტომ არ შეიძლება ენის ასე აგდება. „ინგლისურს სწავლობს, ბიჭი, დედა ენაცვალოს და გერმანულზეც დაჰყავს და იარის ამ ფრანგულზეც. რა მენაღვლება, და ცოტა არაბულიც ხომ არ შეუსწავლა"... მოიცა, კაცო, ამას ხომ აქვს საზღვარი, გოგებაშვილი ამბობს, რომ ცხრა წლამდე არ შეიძლება სხვა ენის შესწავლა, მე კი მგონია - თხუთმეტამდე! სანამ ადამიანის ფორმირება არ მოხდება, ილია კი ამბობდა, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, მარა, შენი არ იცოდე, ის კი არ უთქვამს!...

*ფრაგმენტი. გაზეთი „თბილისი" (20 აპრილი, 2000 წ.)*

# თედო რაზიკაშვილის ლექსიკონი მარგინალიებით

თედო რაზიკაშვილს ქართული სიტყვის მაძიებელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია - იგი კალთამაღლიანი რაზიკაშვილების კერიაში დაიბადა და ბედმა არგუნა ნიჭსხივოსანი ფშაველი მოლექსეების, თავისი უფროსი ძმების ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას გარემოცვაში აღზრდილიყო. სწორედ „მათ, სამთა ძმათა" ღონივრად სწიეს ქართული სიტყვის ჭაპანი - ვაჟა-ფშაველამ და ბაჩანამ თავიანთი პოეზიის წყაროსთვალით, ხოლო თედომ თავისი საბავშვო პროზით და ფოლკლორულ-ლექსიკური მასალების შეკრებით.

ახლა მხოლოდ თედო რაზიკაშვილის სალექსიკონო მასალების მარგინალიებზე.

1900 წლის 14 და 15 აპრილს გაზეთ „ივერიის" ნომრებში (№79, №80) გამოქვეყნდა პეტრე მირიანაშვილის წერილი სათაურით: „ქართული სიტყვის მოყვარულთა მიმართ" და მასში ავტორმა დასვა საკითხი სალექსიკონო მასალების შეკრებისა და ლექსიკონის შედგენა-გამოცემაზე. ამ საშვილიშვილო თაოსნობას ამავე გაზეთში პირველთაგანი გამოეხმაურა თედო რაზიკაშვილი და დაიწყო „ქართული საუნჯის მასალის (ლექსიკონის) გამოქვეყნება (ივერია, 1900, 15 ივნისი, №127).



თედო რაზიკაშვილმა თავის ფშავსა და ქართლში ჩაწერილ სალექსიკონო მასალებს დაურთო მცირე წინასიტყვაობა, სადაც მიუთითებს, რომ „პეტრე მირიანაშვილის მოწოდების აზრს ვეთანხმები და საჭიროდ ვრაცხ, რომ შეკრიბოს და ჩაიწეროს ყოველი სიტყვა, რაც-კი საქართველოში იხმარება ან ხმარებულა, ამიტომ მეც ეს სიტყვები შევაგროვე"... იქვე იმასაც მიუთითებს, რომ „ყველა ხმარებული სიტყვის ჩაწერა კიდევ უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ ამით შეგვეძლება გამოვიკვლიოთ ისტორიული განვითარება ჩვენი ერისა, რაც შეეხება მოყვანილი სიტყვების ახსნას, ჩემით არც ერთი სიტყვა არ ამიხსნია, როგორც ხალხი ჰხმარობს და ვიცი, ისე ჩავიწერე"... ჩამწერი იმასაც მიუთითებს, რომ „აქ მოხსენიებული სიტყვები სულ მოძებნილია საბას და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. იქ ან სრულიად არ აღმოჩნდა ან სხვა აზრით არის ახსნილი".

თედო რაზიკაშვილმა თავის ჩაწერილ სალექსიკონო მასალებში 900-ზე მეტი სიტყვა განმარტა. ისინი ანბანის რიგით დაალაგა და გაზეთ „ივერიის" 24 ნომერში გამოაქვეყნა (1900 წ. №127, №128, №135, №138, №140, №142, №150, №151, №153, №155, №156, №157, №160, №161, №162, №166, №167, №168).

ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლმუზეუმში ინახება გაზეთ „ივერიის" იმ ნომრების ერთი ამონაჭერი, რომელსაც ახლავს თედო რაზიკაშვილის ხელით ჩამატებული სიტყვები თავისი განმარტებებით. ვფიქრობთ, უპრიანი იქნება გაზეთის ამ ნომრის სრულ პუბლიკაციას მარგინალიებით თუ გამოვაქვეყნებთ და მკითხველს ნათელ წარმოდგენას შევუქმნით ქართული სიტყვის ერთ-ერთი თავდადებული მსახურის შესახებ.

თედო რაზიკაშვილის ჭკუით მოტანილი „ივერიის" - ერთი ნომრის პუბლიკაცია ჩამწერის მარგინალიებით, ვფიქრობთ, კარგ სამსახურს გაგვიწევს აღნიშნული ლექსიკონის სრული პუბლიკაციის დროს, არადა, გადაუდებლად მიმაჩნია მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

გიორგი ჯაჯახიშვილი

## ა

**ამოეოენება** - ვაზაფხულზედ როცა პირველად თოვლი ადნება და ბალახი წვერს ამოაყოფს მიწიდან, ამ ბალახს ქართლში ფოფის ეძახიან. ფშ.

**ანტრია** - გათხელებული მოხარშული ცომი. ფშ.

**ანდებარი** - ურემი რომელიც უკანა ხდება. ქართ.

**არხიმი** - ავი კაცი, მოჩხუბარი. ფშ.

**არმის ჩიქილა**-?- ნეტა არმის ჩიქილაო,

ბოლო-ბოლო შაქარგულო,

რად გინდოდა სამკლავენი,

შე ქალების გაქარგულო... ფშ.

**არმელია**-? - ჭალა-ჭალა შამოდიან

მიმინო და არმელია... ფშ. ლექსია.

**აჩათანა** - ტანმოკლე ნიჩაბი. ფშ.

**აძმორება** - აყროლება.

**აძრახლომა** - ხმის გაღება, ხმის ამოღება.

**აჯამი** - ბრიყვი, გაუთლელი.

**ახრომლება** - დაჩირქება, აყროლება. ქარ.

**ალაბა** - ფშ. ალაქაჩა - ქართ. წინდის მყარად გამოქსოვილი ძირი.

**ალოშა** - ბრიყვი. ფშ.

**ამოსალები თუნგი** - ბაზრის ოთხი ჩარექი და ამოსალები 8-ცეგან ექვს ჩარექამდე. ქართ.

**კალმით მინაწერი:**

**აბუჭა** - ბარაქალაზედ მოარული.

**არშა** - არა, არარაობა.

**არინა** - არიქა.

## ბ

**ბაგბაგი**- ბაბანი, კბილზედ ცემინება სიცივით. ფშ.

**ბაბრი** - ძალიან დიდს დათვს ეძახიან ფშავში.

**ბაზო** - საწველილე ქვევრს შუა დარჩენილი ცხელური ადგილი. ქართ.

**ბარწელა**- ვისზედ გაკვირებული ვაჟარი რისს სალეკვებად. ფშ.

**ბარლოჯანა** - ავი სული, ამ სახელით აშინებენ ფშავში ბალღებს.

**ბატის კურტუმი** - ბალახია. ქართ.

**ბაურა** - მწერია საქონლის შემაწუხებელი ფშ.

**ბენტერი** - ნერწყვი, გამოსულელებული. ქართ.

**ბებრის ჭიპი** - მხალია. ქართ.

**ბიგა** - მინდვრის თაგვი - წვეტიანი ცხვირის მქონებელი. ფშ.

**ბითარ** - კაცი, რომელსაც ღვეზელის ძვლები და წინა მკერდი სულ ერთის ძვლის აქვს. ხევსურები ამბობენ: მინდა ბითარი იყოვო.

**ბირწკნილი** - ფრჩხილი. ხევს. ამასვე ჰგავს მეგრული "ბირცხა".

**ბიტლი** - წვრილი, ხილზედ იტყვიან. ფშ.

**ბოგირა** - თავწვერა, გაუთლელი, ახირებული. ქართ.

**ბოჟირი** - აშლა, ავრი აბრუჯრა, ავრია, არწივი წერილებს აბრუჯრებს ხოლმე. ლრუბლები აბობოქრდნენი ფშ.

**ბორტვი** - ბუღური. ფშ.

**ბოსლობა** - ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში ქალები თვიური წესის დროს სახლში არ შედიან, ცალკე არ დაირცეცხლებიან და ბოსელში სცხოვრო-

ბენ. ამიტომ დარქმევია ასე. ფშაური.

**ბოსტანა** - ბოსლელი. ხევს.

**ბოტიტანა** - დიდი, ზორბა, ღონიერი. ფშ.

**ბოჯგი** - მომცვდარი ნაყოფი ტყემლისა, ან ქლიავ-ღოღნოშისა. ქართ.

**ბოძალდი** - თოფის მსგავსად სასხლეტი მჭედლ-ისარი ფშ.

**ბოწიწკობა** - ფეხების მაგრად დადგმა. ფშ.

**ბრაგვანი** - ტყაპანი, ძირს დაცემა. ქართ.

**ბრაცუნი** - ფეხის ბაკაბუკი. ფშ. (?)

**ბრელო** - სიმინდის ფუჩეჩის რბილი ნაწილი. ქართ.

**ბრუშა** - ხარი, როცა ხართან საჭიდაოდ ემზადება ბრუშას იწყებს. ფშ. ბღვერა ხართა და მოზვერთა.

**ბრძამი** - მცენარეა კლდისა. ფშ.

**ბაბუნი** - ხარის ყვირილი. ფშ.

**ბუდნა** - ხელით ნაროგებული ლობიო ვენახში. ქართ.

**ბუდარობა** - ფრინველთა ბუდობის დრო. ფშ.

**ბუზალაყი** - არყის გამონახადი. ფშ.

**ბუკნაჭოტი** - ბუკიოტი. პატარა ბუ. ფშ.

**ბუკუკა** - კოდო. ფშ.

**ბულულა** - ყვავილი. ფშ.

**ბუნგალი** - მტყერი, ბლეგირი. ფშ.

**ბუნჩო** - ბურდო, ჩალაბულა. ქართ.

**ბურბუშლა** - დურგალთაგან ანათალი ნაფოტი, სოლბილით დახვეული. ქართ.

**ბურბური** - გურგური ცეცხლისა. ქართ.

**ბურტყუნი** - დათვის ხმაურობა. ქართ.

**ბურძგალი** - გინგლი, აშლილი ბეწვი. ფშ.

**ბუტაყი** - მსუქანი, დიდი. მსუქან ბავშვზედ იტყვიან. ფშ.

**ბუწუწება** - ბუწუწის გაშლა, ან თმისა. ფშ.

**ბუქყა** - მაგარ მხრიანი მწყემსი საზოგადოდ. ფშ.

**ბალახის ჩახდომა** - ბალახის ჩახვლა, შემოდგომით რო გახმება და ჩაიფუშნიტება. ფშ.

**ბატილა** - თეთრად დახვილი სიმინდი. ქართ.

**ბავცვა** - მალვა - პარვით გაუბარაქოვება რისამე. ფშ.

**ბედრანგი** - უშნო, უსახური, გაბუნებული, გაბედრანგებული. ქართ.

**ბუზურა** - მწ. მიწაში აცდუებს თავლს. "ბუზურა ბევრი ბზუისო ფუტკართან ბევრი ტყუისო". ანდ. ფშ.

**ბუხუნძელა**- სხვა და სხვა მწერების ბუხუნიანი მატლები. ქართ.

**ბჯღალი** - ბრჭყალი. ფშ.

**ბუთქვი ხე** - დაბურული ხე. ფშ.

ხელით ნაწერი:

**ბორხლა** - ზორბა. მეტისმეტად ზორბა ტანისა. ფშ.

**ბრუზი** - ბძანება.

## გ

**გაბიჯება** - ნაბუშრის მოგება. ფშ.

**გაბიჯება**- გადაჯიშება, უვარგისად გახდომა მცენარისა. რაკი ვადა გადუვა, მაგალითად, სიმინდს თოხნა თუ დაუგვიანდა. ქართ.

**გალუფხული** - გაწუწული წვიმისაგან. ქართ.

**გამობზარული თვალი** - გამოთხრილი თვალი. ფშ.

**გამოკვანთული** - გამოწყობილი. ქართ.

**გამოხრუწვა** - გაქურდვა. ფშ.

**განარდიშება** - თავს გასვლა, გახალისება ვიზედმე. დაჩვევა. ფშ.

**გაპოხიერებული** - გასუქებული, გაპატიებული.

**გარა** - ქსლის იარაღი, კეტი შუაზედ გახაყრილი.

**გარესამხრობა** - გარეთ, უსახლკაროდ ცხოვრება, ცხვარში, ან ლაშქრობას. ფშ.

**გაფხულაკნა** - გაფანთხალება. ფშ.

**გასამაგისება** - სამ თანასწორედ გაყოფა. ქართ.

**გაქშერება** - გამეტება, რომ არაფერი დაენანოს სხვისთვის. ფშ.

**გასაგნვა** - გაკვრა ისრისა, ან ჯირითისა. ფშ.

**გაჭიკვნა** - ძალზედ გატეხა გულისა, მუცლისა, ჯიბისა და სხვ. ფშ.

**გახანხლვა** - ტყუილის გამოცხობა ხელ და ხელ. ქართ.

**გახვლეპა** - გაყვლეფა ქართ.

**გახიწნვა სახლისა** - სახლიდგან ყველაფრის გაზიდვა შესაჭმლად, ან ფარეულად. ქართ.

**გვარიანი ლორი** - ლორთეულიანი ღორი. ქართ.

**გვარი** - ლორთეულა. ქართ.

**გალო** - ტყლიკი. ფშ. დიდი ნაჭერი ბარკლისა.

**გამორეხვა** - გატეხვა და გამოგდება. ფშ.

**გარდით კითხვა ამბისა** - ისე რომ ქვეყნის ვერავინ იცის, თუ რათა კითხულობს. ფშ.

**გარუჯულება** - უწესო წესის ქმნა.

**გამხანებული გზისა** - გზის ადრე გამკვლელი, ფეხმარდი. გამხანებული საჭმისა - ბარაქიანი მუშა. ფშ.

**გასხვაპურება** - სხვა და სხვაზედ გადაცემა გადაყება. ქართ.

**გაძირება ერბოსი** - გადადნობა ერბოსი. ფშ.

**გაჭირდიდება** - გაზვიადება. ფშ.

**გაწრიოკებული** - გაწვრილებული გაბუნავებული ქართ.

**გახერება** - უძრავად დადგომა. ფშ. გაშეშება.

**გველის რქა** - ხუთი, გაპლესენ წყალში და გველისაგან ნაკბენს წაუსმენ, ან დაალევინებენ.

**გლუვი** - ტლუ. ფშ.

**გორგურიანი** - გორებიანი. ფშ.

ხელით მინაწერი

**გასაწინწლი** - გასასილაქებელი.

**გახიზვა** - ქონით ახალი ჭურჭლის გამოვლება.

**გვარ-ჭაკი** - უგული, დამბლა.

**გასწორ-გასწორა** - თავის გუნებისა.

**გადაცემით ლაპარაკი** - გიჟური ლაპარაკი.

**გვარშერეული** - გადაჯიშებული.

**გველანა** - თევზია ერთგვარი. ქართ.

**გველის ნალოკი ქვა** - ბროლი. **хрусталь.** ფშ.

**გვერდალი** - გვერდა, დაქანებული ადგილი. ფშ.

**გვრინი** - თიბვაში მღერის კილო. ფშ. (?)

**გვირილა** - კვირია. ფრინ, ფშაური.

**გონიო** - იარაღია კალატოზებისა. ქართ.

**გაგუა** - კაკა, სათირებელი ბავშვთა. ფშ.

**გულაკაცი** - გულ-მოსული. ქართ.

**გულ-არჯალი** - გულბოროტი. ქართ.

**გუგულის ჯამი** - წითელი სოკოა, ჯამებივით ამობრუნვით იცის ამოსვლა ნადირთ დანეხვილზედ ტყეში. ფშ.

**გუგულის კაბა** - ყვავ. ფშ.

**გულდვარძლი** - უწმინდურის გულის მქონებელი, დაუნდობელის ხასიათისა. ქართ.

**გულქართლი** - პურადი, გამჭედებული. ფშავ.

**გურგულა** - პურის გული. ფშ.

**გურაბი** - მორევი. ფშ.

**გურგური** - ცეცხლი გურგურებს, როცა ქარი უბერავს, ბურბური.

**გურჩი**- რიყიანის ქვა, ფილთაქვა. ფშ.

**გარაის საყვანელა** - გარის ასაწევ დასაწევი კავი. ფშ.

**გაბაწვრა** - ქურდის ხელში ჩაგდება, დაჭერა, გათოკვა. ქართ.

**გადაოგნებული** - დაჩლუნგებული. ფშ.

**გაზები** - ფრინველთა კლანჭები ან საქონლის ფეხები. ფშ.

**გალაღება** - გახარება. ფშ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ღმერთმა ნათელში ამყოფოს ფოცია კალანდაძე

*თუ როგორია სიტყვიერების მასწავლებლის როლი ახალგაზრდის სულიერ ჩამოყალიბებაში, ვფიქრობთ, ამის ნათელი მაგალითია ბატონი შოთა დანელიას აზრი მისი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის - ფოცია კალანდაძის - შესახებ.*



„ბატონი შოთა დანელია ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში დატრიალებული უბედურების ცოცხალი მოწმეა... ის თბილისში ცხოვრობს და როცა წარსულს იხსენებს, ხშირად სიტყვა უწყდება...

- ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი- ფოცია კალანდაძე. მან მასწავლა ვაჟკაცური სიყვარული, მეგობრობა, ტანჯვა-წამების ატანა, „ვეფხისტყაოსანთან" ერთად ჩამიდო ხელში ის გამძლეობა, რომელმაც იმდენი უბედურება დამაძლევინა. 1941 წელს, 18 წლის სამხედრო სასწავლებლის კურსანტი, ბელორუსიაში ვიყავი. 22 ივნისს დაგვირიგეს ყუმბარები და გვითხრეს,- ომი დაიწყოო. გერმანელები ზვავივით მოდიოდნენ. ჩემთან იყვნენ ოზურგეთელი, ფოთელი ბიჭები. 10 დღეში ყველა ამოხოცეს. ვნახე, რა საზიზღრობას სჩადიოდნენ ფაშისტები, როგორ აბუჩად იგდებდნენ ადამიანებს, ამცირებდნენ მოხუცებს, ბავშვებს, როგორ ანადგურებდნენ მოსახლეობას. 1941 წელს მძიმედ დავიჭერი და სექტემბერში შვებულებით ჩამოვედი თბილისში... განკურნებისთანავე ფრონტზე დავბრუნდი. - 224-ე ქართულ დივიზიაში გამიწვიეს. მაისში დაიწყო შეტევა. დავიჭერი, ტყვედ ჩავვარდი და ვლადიმირ-ვალინსკის ბანაკში მოვხვდი. ამ საგანგებო ბანაკში მხოლოდ ოფიცრები ვიყავით, ჩვენ შორის მარტო 12 გენერალი იყო. იქიდან პოლონეთში გადაგვიყვანეს. ბოლოს კი ქ. ბლანგებურგის ბანაკში. ჩემი, როგორც სამხედრო ტყვის, ნომერი იყო 12283..."

*ფრაგმენტი. გაზეთი „კვირის პალიტრა"*
*(8-14 მაისი, 2000 წ.)*

## ენა მთისა და ბარისა

**მაკა ბურდიაშვილი თბილისის 187-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა; ზაფხულის არდადეგებს იგი ჩვეულებრივ თავის მშობლიურ სოფელში, ჩუმლაყში (გურჯაანის რაიონი) ატარებს. სოფელში იგი დროს უქმად არ კარგავს - იწერს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს: ზღაპრებს, ივავ-არაკებს, თქმულებებს, მახვილსიტყვაობებს, ენის გასატეხებს, გათვლებს, ანდაზებსა და გამოცანებს. მაკა ბურდიაშვილს თუ მიბაძავენ მისი თანატოლები და თავიანთ სოფლებში ჩაიწერენ ამგვარ მასალებს, ეს დიდად წაადგება ჩვენს საერთო საქმეს, ჩვენს ენასა და კულტურას. დღეს გთავაზობთ ერთ ნიმუშს მისი ჩაწერილი მასალიდან.**

# თრიალეთს ქალი დავმარხე...

### (ზღაპარი)

თრიალეთს ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცმა იცოდა, რომ ცოლი ღალატობდა. შეშინებული ქალი; სხვა გზა აღარა ქონდა, თავი მოიმკვდარუნა; თან ანდერძი დაუტოვებია: სასაფლაოზე რო ამიტანთ, იმ ღამესვე ნუ დამმარხავთ, ისე დამტოვეთ, ოღონდ ნაწნავების ნაწილი გარეთ დამიტოვეთო. ეს ქალი ხალიანი ყოფილა, ლოყაზე ეტყობა ხალი, ადვილი საცნობი ყოფილა. იმ ქალს მართლა ჰყოლია საყვარელი. იმათთან შეთანხმებული ყოფილა.

ახლა ღამით იმ ქალის საყვარელი. ქალი კუბოდან ამოუყვანია, ნაწნავები შეუჭრია, კუბოთან თავი დაუხურია და მოჭრილი ნაწნავები კუბოში ჩაუტანებია გარედან. გაპარულან ქალი და მისი საყვარელი. საით არავის იცის; არც არავის გაუგია.

მეორე დილით ამოვიდნენ ჭირისუფლები, იტირეს, კუბო მიწას მიაბარეს და წავიდნენ.

დიდი ხანი გასულა. იმ ქალის ქმარს ცხვარი მოუყავს თურმე მთიდან. წყალი მოსწყურებიათ.

იქვე, გზის პირას, ქალი იჯდა თურმე, აკვანს არწევდა, ბავშვს ნანას უმღეროდა და მატყლს ართავდა. კაცს ხმა ეცნო. ცოტა შეყოყმანებულა, დაუძახნია და იმ ქალისთვის წყალი უთხოვნია. ქალს რომ მიუხედნია, უცნიათ ერთმანეთი.

ქალმა მოუტანა წყალი. კაცს ლექსად უთქვია:

ბევრი რამ გამოვიარე,
რას არ ნახავდა თვალითა...
ნუ ენდობი დედაკაცსა
ნურცა ჩემსა, ნურცა სხვისასა:
თრიალეთს ქალი დავმარხე,
ართას ართავდა მატყლსაო".

მთქმელი ელდარ ბურდიაშვილი, 60 წლის

ჩაწერილია 1998 წლის 29 სექტემბერს

**რედაქციისაგან: მადლობას მოვახსენებთ მაკა ბურდიაშვილს, რომ გამოეხმაურა ჩვენს მოწოდებას. ჩვენ კვლავაც ველით ახალ მასალებს. ერთს კი შევახსენებთ ჩვენს მომავალ თანამშრომლებს: მთქმელის მონათხრობი რაც შეიძლება ზუსტად ჩაიწერონ; ყოველ სიტყვას, ფორმას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.**

თორნიკე გოგოლაშვილი

# სტვენითი მეტყველება, როგორც საკომუნიკაციო საშუალება



მექსიკაში ოაქსაკას (Oaxaca) შტატსა და მის შემოგარენში ცხოვრობენ ტომები, რომლებიც მაცატეკის (Mazateco) ენაზე ლაპარაკობენ, ანუ ისინი კომუნიკაციას სტვენითი მეტყველების საშუალებით ამყარებენ.

სტვენითი მეტყველება, საუბარი ამ ტომებისთვის ჩვეულებრივ სამეტყველო ენას წარმოადგენს და იგი ბგერითი ენის ანალოგიურია. მას ახასიათებს ტონი, რიტმი, ტემბრი და განსხვავდება ჩვეულებრივი სტვენისაგან: მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი სტვენა მხოლოდ ყურადღების მიქცევის სიგნალს წარმოადგენს, რაც არცთუ იშვიათად გამოიყენება ევრო-ამერიკულ კულტურაში.

მაცატეკის ენაში (სტვენით მეტყველებაში) გამოყენებული ტონი კლასიფიცირდება ოთხი ტონალობის მიხედვით 1 (ყველაზე მაღალი), 4 (ყველაზე დაბალი). ამას გარდა არსებობს გლაიდები, რომლებიც დაწერილ ტონებს შორის ტრიუთი გამოიყენება, რაც ერთობ სპეციფიკურ მნიშვნელობას სძენს მას. ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ტრანსკრიფციაზე, რომელიც მაცატეკის ენაზეა და იგი თავის ნაწარმოებში გამოიყენა ჯ.მ. ქოუენმა (G.M.Cowan):

1,1,3,3,2,4 $hme^{1}\ čʔa^{1}\ ši^{3}\ ki^{3}\text{-}čʔai^{2}\text{-}ve^{4}$

- რა მიგაქვს?

1,4,1,1 $čʔa^{1}\ na^{4}\ hme^{1}\text{-}ni^{1}$

- ხორბლის ტვირთის პარტია.

1,3,3,4,3 $hnā^{1}\ ti^{3}\text{-}ʔmi^{3}\ koai^{4}\text{-}ʔni^{3}$

- (კარგი) სად მიგაქვს? (სად მიდიხარ მასთან ერთად?)

3,2,4,2,3,4 $te^{3}\ na^{2}nko^{4}\ ti^{2}\text{-}vhi^{3}\ koa^{4}$

- ტენანგოში (Tenango).

3,3,3,3,2,3,2–4,3 $ʔa^{3}\text{-}ti^{3}\text{-}ʔmi^{3}\ ka^{3}\ te^{2}\ na^{3}\text{-}ni^{2-4}ʔni^{3}$

- რა, მაგის გაყიდვას აპირებ?

2,3,3,2,2–3 $ti^{2}\text{-}vhi^{3}\ ka^{3}\ te^{2}\ na^{2-3}$

- დიახ, გაყიდვას ვაპირებ.

1,1,3,2,4,4,2,3,1–3,4 $ho^{1}\ thį^{1}\ čʔai^{3}\text{-}ʔni^{2}\ ʔi^{4}\text{-}ta^{4}\ te^{2}\ na^{3}\text{-}nai^{1-3}\text{-}vi^{4}$

- რამდენს აიღებ მაგში? მოდი, მე მოგცემ.

4–3,4,3,3,3,2,4 $ka^{4-3}\ tąę^{4}\ kʔoa^{3}\ nka^{3}\ hnko^{3}\ ka^{2}\ ša^{4}$

- ფუთში 2,5 დოლარს.

როგორც ვხედავთ, სტვენითი მეტყველება ეყრდნობა ტონებს, რიტმს, რომელიც ასევე გამოიყენება ჩვეულებრივ ბგერით ენაში. მაგრამ მათ შორის არის განსხვავება. ძალზედ კი იშვიათი, სტვენითი მეტყველების თითოეული მარცვალი რომ შეესაბამებოდეს სამეტყველო ენის მარცვალს. მაცატეკის ენაზე მოსაუბრეებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ ერთი და იგივე მუსიკალური გასაღები, რომ მათ შორის სრულფასოვანი კომუნიკაცია დამყარდეს.

სტვენითი დიალოგი წარმოადგენს კომუნიკაციის ისეთ საშუალებას, რომლისაც ხდება მცირე ზომის ინფორმაციის ურთიერთ გაცვლა. გარდა ამისა, იგი გამოიყენება არაოფიციალური რეგისტრის დროს. და კიდევ ერთი, მაცატეკის ენის ყოველდღიურობაში ჩვეულებრივ ქალები იყენებენ, როგორც ენას, თუმცა ეს „ენა" მამაკაცებსაც ესმით.

***(მასალა მომზადებულია ბრიტანული ენციკლოპედიის მიხედვით.)***

## ინფორმაცია

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მასპინძელი უნივერსიტეტის, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბუხარის ჯორჯფაძის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია. ეს იყო ტრადიციული შეხვედრა, ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებისა და მოღვაწეობის რომ ეძღვნება.

კონფერენციის თემა იყო **გიორგი ლეონიძე**.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა თელავის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა **რ. ჭიკაძემ**. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა - **ა. ჭინჭარაულმა, ვ. ელანიძემ, ლ. შალვაშვილმა, გ. ჯავახიშვილმა, ი. ქუშიკაშვილმა, გ. გოგოლაშვილმა**; დოცენტებმა - **ჟ. კოშორიძემ, მ. მიქელაძემ, თ. შარაბიძემ, ლ. იანვარაშვილმა, გ. ცოცანიძემ, ლ. ტალახაძემ, ნ. დევიძემ.**



სამეცნიერო კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა.

მომავალი კონფერენციის თემა არის **ალექსანდრე ყაზბეგი.**

## ჩვენი სკოლა

# მშობლიურ ენასა და ლიტერატურას – გამორჩეული ყურადღება...

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ბატ. დემურ კილანდაძე) მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრში (დირექტორი მანანა წირიაშვილი). წლის ბოლოს (აპრილ-მაისში) თითქმის ყველა სასწავლო დისციპლინაში, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო საგნებში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია), ტარდება სარაიონო (საქალაქო) ღია გაკვეთილები, სადაც ჯამდება მასწავლებელთა მუშაობა და ადეკვატურად ხდება მათი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება.

მიმდინარე სასწავლო წლის 10 მაისიდან 12 მაისამდე (ჩათვლით) კვირეული ჩატარდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამჯერად აღსანიშნავია, რაიონისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილმა, უკანასკნელი ატესტაციის შედეგად I კატეგორიამინიჭებულმა მასწავლებლებმა უჩვენეს თავიანთი მასწავლების „ხელოვნება" (რამეთუ „ხე" ნაყოფით იცნობა).

პედაგოგებმა მოისმინეს მეტყველების განვითარებისა (ქალ. ც. ლომიძე. №3 გიმნაზია) და ტექსტზე მუშაობის (ქალ. ნინო ქვრივიშვილი. 133-ე საშ. სკოლა) გაკვეთილები. მე-3 გიმნაზიაში ჩატარდა მე-10 ჰუმანიტარული კლასების მოსწავლეთა ქართული ლიტერატურის წრის შემაჯამებელი სხდომა (წრის ხელმძღვანელი ქალ. ნანა ლინდაძე).

კვირეულმა ერთხელ კიდევ ცხადი გახადა, რომ მასწავლებელთა მოწინავე ნაწილი, მიუხედავად უკიდურესი პრობლემებისა და სიძნელისა, მაინც ახერხებს ტრადიციული, გამოცდილ, აპრობირებულ მეთოდებთან ერთად, უახლესი ინტერაქტიული მეთოდიკით მუშაობას.

გაკვეთილებისა და წრის მეცადინეობის გარჩევის დროს, რომელშიც რაიონის მასწავლებელთა ერთი ნაწილი, განათლების განყოფილების ინსპექტორები, მასწავლებელთა დახელოვნებისა და გადამზადების ცენტრალური და საქალაქო ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკები (ქალბატონები: ლალი დათაშვილი, მანანა ანდრიაძე, მაია მღებრიშვილი), ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ახალი სარეფორმო (V-VI) კლასების სახელმძღვანელოების თანაავტორი ნინო ნაკუდაშვილი იღებდნენ მონაწილეობას, გამოიკვეთა იმედის მომცემი ტენდენცია: 1. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მხატვრული ლიტერატურის, როგორც „სიბრძნის ერთი დარგის" შესწავლას; 2. ლიტერატურული სწავლებისადმი მექანიცისტური მიდგომა, მისი მთლიანად გადაყვანა ტექსტების ლიანდაგზე, ანუ ფაქტოლოგიაზე დამყარებული ცოდნა მიუღებელია, რამეთუ ტექსტის სრულყოფილად შესწავლა არის ერთადერთი „გასაღები" მისი გაანალიზების, ლიტერატურული პარალელების დაძებნის, მონათესავე საგნებთან ინტეგრირებისათვის.

ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას, მათი ზნეობის წრთობას, სულის გაფაქიზებას.

მეთოდურ კვირეულში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელდებულმა მეცნიერებმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ბატონებმა: ზურაბ ხარაველაძემ, ამირან გომართელმა და გიორგი გოგოლაშვილმა; საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილემ, დოცენტმა ენგურ ქურცაკიძემ, რომელთა დასწრებამ, საქმიან ატმოსფეროსთან ერთად, ერთგვარი საზეიმო ელფერი მისცა მასწავლებელთა მოკრძალებულ საქმიანობას.

**ლია ჯანკვეტაძე**

*ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრის მეთოდისტ-ორგანიზატორი.*

## მოვუსმინოთ პატარებს

პატარა გოგომ 3 მარტს დედას მისალოცი დაუწერა: დედა, გილოცავ 3 მარტს- დედობას.

**(ბიბა ნიკვაშვილი, 7 წ.)**

* * *

ნინი ცუდად იქცეოდა, დედა გაუბრაზდა: ასე ცუდად რომ იქცევი, დაბადების დღეს აღარ გადაგიხდით. იქვე იყო ნინის უფროსი ძმა, 7 წლის გოგა, რომელმაც დედის ნათქვამს დაამატა: - ხოდა, დარჩები 3 წლის!

**(ბიბა ნიკვაშვილი, 7 წ.)**

* * *

სოფომ კბილი ამოიღო. სტუმრადმისულ ახლობელს კბილის ადგილი აჩვენა და უთხრა: შენ კიდევ როდის მოიხვალ? როცა მოიხვალ, მე ალბათ უკვე ახალკბილა ვიქნები.

**(სოფო ჯუმბურიძე, 6 წ.)**

* * *

ალექსანდრე ეკითხება დედას: ადამიანები იმიტომ დაერქვათ, რომ ადამის შვილები იყვნენ?

- ხო,- უპასუხა დედამ. ალექსანდრე დაფიქრდა და თქვა: - საწყალი ადამი, ის არ იყო ადამიანი?

**(ალექსანდრე ბუჯაბიძე, 4 წ.)**

* * *

- დედა, შენ და მამამ ჯვარი რომ დაიწერეთ, ის გვირგვინი სად არის? - ეკითხება მარიკა დედას.

- მე და მამას ჯვარი არ გვაქვს დაწერილი, - უპასუხა დედამ.

- რატომ? ეკლესიის კარები დაკეტილი იყო? - დაინტერესდა გოგონა.

**(მარიკა არიშვილი 7 წლის)**

ბაბილონის გოდოლი



დ. კრისტალის ენციკლოპედიიდან


დედა ენა
ქართული ანბანი
1912